

ახალი ბუნათმეტყველება

5 - 11 ოქტომბერი 2017

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№28 (782) გაიქცა 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

საუკეთესო მოთხრობა მასწავლებელზე



გვირდინი

ჯანა ქვენიშვილი: „ეს ახის მოთხრობა იმაზე, როგორ შეიძლება ახსნა თუ ისე ჰუმანური მასწავლებელი გახდეს უფრო ჰუმანური, გახდეს უკეთესი, ვიდრე ის იყო და ამას ხედავდნენ მისივე მოსწავლეები. ეს მოთხრობა უმცირესობის ნახშირბადგენლობაზე, როგორ შეიძლება მათი უფლებები დაიცვას სწორედ მასწავლებელმა ძალიან ჩაყვანილ სივსეში, უმცირესად სოფელში, პიროვნულად. ახ ვერდი გამაჩვენებს, ხადგანაც პირობაში ჩემი პირობები მცდელობები და ცხადია, ძალიან გამიხარდა.“


საფიზიკური რეინსპირაციის თანამდებრივი ტენდენციები

❖ ძალიან დიდი სიახლეა წელს მასწავლებელთა საფიზიკურებზე გადასვლის თვალსაზრისით, ხადგანაც სისტემაში უკვე 9 მეტრონი მასწავლებელი გვყავს. ეს ის მასწავლებლები არიან, რომლებმაც სკოლის ფაიფილებში განსაზღვრული ყველა ვადებზე – ნამყვანიდან მეტრონიამდე – ნახმატებით გაიარეს.

ამ სტატუსამდე მიღწევა შეუძლია ნებისმიერი მასწავლებლის, თუკი აჩიგად დაგეგმავს თავის პირობებს განვითარებას.

❖ იმან, რომ ზღვაში აღაჩი ახის სისტი და მხოლოდ მისი გადასვლა-გადედა-ველობა ახ განაპირობებს შემდეგ საფიზიკურებზე გადასვლას, უფრო მოქნილი გახდა სტატუსის მინიჭების პირობები, ხამაც უფრო მეტ მასწავლებელს მისცა სტატუსის გაუმჯობესების შესაძლებლობა.

მანანა ხატიანი



რევიონი

გვ. 4

**რა სიახლეებით დაიწყო
ახალი სასწავლო წელი**

საუბრაზე ლიტერატურაზე

გვ. 5

**ინტელიგენციის პრობლემა
მიხეილ ჯავახიშვილის
რომანოში „ჯაყოს ხიზნები“**

პედაგოგთა დასახმარებლად

გვ. 8

**ლიტერატურული
პერსონაჟები – ერის
კოლორიტის მატარებელი**





აშშ-ს მშვიდობის კორპუსის საქართველოში იწყებს სკოლების განახლების მიღებას

2018-2020 წლებში მოხალისეთაგან თანამშრომლობისთვის

მშვიდობის კორპუსის მოხალისეები, ჩვიდმეტი წელია, წარმატებით ასოცირებული ბანათლების პროექტს საქართველოში რეგულირებენ. კონკურსში მონაწილე სკოლები ამერიკელ ინგლისური ენის მასწავლებლებთან იმუშავებენ 2018-2020 სასწავლო წლებში, ინგლისური ენის ცოდნის დონისა და სასწავლო პრაქტიკის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ სავარაუდოდ სკოლებს შემდეგ რეგულირებში: ქახეთი (ახმეტის ჩრდილოეთით მდებარე სოფლების გარდა), მცხეთა-მთიანეთი (სტაფანდინდის გარდა), ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, გურია, იმერეთი, სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი. კონკურსში მონაწილეობა არ შეუძლიათ იმ სოფლებისა და ქალაქების სკოლებს,

რომლებიც მდებარეობენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადგილობრივი საზღვრის ატკილომეტრიან ზოლში.

თუ თქვენი სკოლა მდებარეობს ჩამოთვლილი რეგულირებიდან ერთ-ერთში, ინგლისური ენის მინიმალური საათობრივი გადამხდელს 24 საათს და დაინტერესებული ხართ მოხალისეთაგან თანამშრომლობით 2018-2020 აკადემიურ წლებში, აპლიკაციის მომთხოვნით ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრში ან მოიძიეთ ჩვენს ვებგვერდზე: <https://www.peacecorps.gov/georgia/ask-for-a-volunteer/>, შეავსეთ და მოგვანათლეთ მშვიდობის კორპუსის ოფისში, მისამართზე: ვაჟა-ფშაველას გამზირი 29^ა, თბილისი, 0160, ან გამოგვიგზავნეთ ელექტრონული ფოსტით, მისამართზე: education@ge.peacecorps.gov

დაამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

- ⇒ ასმათ სინარულიძე
ბანათების პროგრამის ხელმძღვანელი
ტელ: 595906444;
 - ⇒ თეო ნეფარიძე
ბანათების პროგრამის ხელმძღვანელი
ტელ: 591969881;
 - ⇒ ია გელაშვილი
ბანათების პროგრამის ხელმძღვანელი
ტელ: 595950406;
 - ⇒ ნინო ფიროსმანიშვილი
პროგრამის და ტრენინგების სპეციალისტი
ტელ: 595027979;
- მიაღწევთ თვალი ჩვენს ფეისბუქგვერდს: [Peace Corps Georgia](#)

მოხალისის მოთხოვნის შევსებული ფორმის ჩაბარების ბოლო ვადაა 20 ოქტომბერი, 2017 წელი

პროფესიული განვითარება

საფეხურებრივი წინსვლის თანმდევი ტენდენციები

წელს ვაკანტური მენტორის სტატუსი 9 მასწავლებელმა დაიკავა, წამყვან მასწავლებლებს მხოლოდ 2 შეემატა და დღეს სისტემაში სულ 216 წამყვანი მასწავლებელია, ხოლო 1359-მა მასწავლებელმა უფროსის საფეხურზე გადასაცემის შედეგად დატოვა უფროსის საფეხურზე გადასაცემის შედეგად. რაც შეეხება პრაქტიკოს მასწავლებლებს, მათი რიცხვი სკოლებში ისევ ლიდერობს – 44 570. რა ტენდენციები გამოიკვეთა ზაფხულში მასწავლებელთა კომპეტენციის დასადასტურებელ გამოცდებზე და გაზარდა თუ არა „ბარიერის მოხსნამ“ მასწავლებელთა დანინაურება – საფეხურიდან საფეხურზე გადასვლა, ამის შესახებ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორის მოადგილე მანანა რატიანი გვესაუბრა.

როგორც მან აღნიშნა, წელს, სტატუსის მინიჭების პროცესში, ყველაზე დიდი სიახლე მენტორის სტატუსის მოპოვებაა, რაც 9 ადამიანმა შეძლო. მიაჩნია, რომ „ამ სტატუსამდე მიღწევა ნებისმიერ მასწავლებელს შეუძლია, თუკი ის კარგად დაგეგმავს თავის პროფესიულ განვითარებას. მენტორებთან დაკავშირებული სტატისტიკა ამახ პირდაპირ მიუთითებს“. რაც შეეხება შემდეგ გამოცდებს, შედეგად ზაფხულამდე მოუწევთ ლოდინი. როგორც ქალბატონმა მანანამ განაცხადა, ინფორმაცია უნდა ადრე იქნება, რაც პირდაპირ კავშირშია ბარიერის მოხსნასთან, რამაც მასწავლებლებს საშუალება მისცა, გამოცდებზე ნაკლები კრედიტის დაგროვების შემთხვევაში, საჭირო კრედიტების რაოდენობა სხვა აქტივობებით შეეცდნენ. აქედან გამომდინარე, გამოცდა წელიწადში ერთხელ ჩატარდება.

წელს სტატუსის შეცვლა, სხვადასხვა საფეხურზე, 1600-მდე მასწავლებელმა მოახერხა. თუმცა, წლის ბოლომდე, მათი რიცხვი კიდევ გაიზარდება, რადგან ახლა ვაცხადებთ გარე დაკვირვების დაწყებას და, შესაბამისად, სწორედ ის მასწავლებლები დამატებიან ამ რიცხვს, რომლებიც მზად იქნებიან, გახდნენ წამყვანი მასწავლებლები. ასევე, ძალიან დიდი სიახლეა წელს მასწავლებელთა საფეხურზე გადასვლის თვალსაზრისით, რადგანაც სისტემაში უკვე 9 მენტორი მასწავლებელი გვყავს. ეს ის მასწავლებლები არიან, რომლებმაც სკემის ფარგლებში განსაზღვრული ყველა ვალდებულება – წამყვანიდან მენტორამდე – წარმატებით გაიარეს. როგორც ცნობილია, სკემის მიხედვით, მენტორის სტატუსის მინიჭების ორი გზა არსებობს, ერთი – მასწავლებელი გადის იმ გზას, რაც სკემის განხორციელება და მეორე – არსებობს ჩანაწერი კომისიის შესახებ, რომელიც უფლებამოსილია, მასწავლებელს მინიჭოს მენტორის სტატუსი, მაგალითად, გამორჩეული ღვაწლისათვის. რადგანაც კომისია ჯერ არ შექმნილა და არც კრიტერიუმებია შემუშავებული, ამიტომ, თავისთავად, მენტორის სტატუსი მასწავლებლებმა სკემით გათვალისწინებული აქტივობებისა და მოთხოვნების შესრულების შედეგად მოიპოვეს, ანუ მათ გაიარეს ის გზა, რაც ამ სტატუსის მოსაპოვებლად უნდა გაიაროს მასწავლებელმა, რომ დააგროვოს 25 კრედიტული. ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, ის არის, რომ მხოლოდ თბილისის მასწავლებლებმა კი არა, რაიონის პედაგოგებმაც შეძლეს ამ გზის გავლა და მენტორობის მოპოვება. ეს ცვლილებები არ განხორციელდა მხოლოდ კონკრეტულ სკოლებში, რაც იმის თქმის უფლებას იძლევა, რომ ამ სტატუსამდე მიღწევა შეუძლია ნებისმიერ მასწავლებელს, თუკი კარგად დაგეგმავს თავის პროფესიულ განვითარებას. ამაზე პირდაპირ მიუთითებს მენტორებთან დაკავშირებული სტატისტიკა.

– გარე დაკვირვების კომპონენტი წელს პირველად ამოქმედდება, რამდენად არის მზად ამ რუბრიკის განსახორციელებლად როგორც მასწავლებელი, ისე დამკვირვებელ-შემფასებელი?

– იმ კრიტერიუმების მიხედვით, რაც გარე დაკვირვების



წესში ჩაიღო, გარკვეული ნინაპირობებია, რომლებსაც მასწავლებლები უნდა აკმაყოფილებდნენ. დღეისათვის, 700-ზე მეტი მასწავლებელია, რომლებმაც ამ ნინაპირობის დაკმაყოფილება შეძლეს, თუმცა, ახლა გასაჩივრების პროცესი მიმდინარეობს და, შესაძლოა, რაოდენობამ კიდევ მოიმატოს. პირველ სემესტრში იქნება საპილოტე რეჟიმი, ორ ან სამ რეგიონს შევარჩევთ, სადაც გარე დაკვირვების პილოტირებას განვახორციელებთ. რა თქმა უნდა, კონკრეტული რეგიონის ფარგლებში, სადაც პილოტირება მოხდება, ყველა იმ მასწავლებელს, რომელსაც ნინაპირობა აქვს დაკმაყოფილებული, ამ პროცესში ჩართვის შესაძლებლობა ექნება. რაც შეეხება მეორე სემესტრს, ყველა დანარჩენ რეგიონს და მასწავლებლებს, რომლებსაც ნინაპირობა დაკმაყოფილებული აქვთ, შესაძლებლობა მიეცემათ, გაიარონ რეგისტრაცია გარე დაკვირვებაზე და განახორციელონ აქტივობა.

ნინაპირობა 13 კრედიტია, გარე დაკვირვებაში კი მასწავლებელს 4 კრედიტი მიენიჭება, თუკი ის წლის ბოლომდე შეძლებს დარჩენილი კრედიტების შეგროვებას – სულ 19 კრედიტი უნდა დააგროვოს, მაშინ მას სასწავლო წლის ბოლომდე ლოდინი არ დასჭირდება და სტატუსი მიენიჭება.

საინტერესო კითხვაა ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებითაც – რამდენად არიან მზად სკოლა და დამკვირვებლები, რომ რაც შეიძლება ობიექტურად წარმართონ პროცესები? პირველი უნდა აღვნიშნოთ, რომ სკოლების ფასილიტატორების და შეფასების ჯგუფის წევრების გადამზადება, სააკვეთილო დაკვირვებასთან დაკავშირებით, მიმდინარეობს და თითქმის ყველა რეგიონი უკვე გადამზადებულია. შესაბამისად, ერთ-ერთი მთავარი გარე დამკვირვებელი ფასილიტატორია, რომელსაც უკვე გავლილი აქვს აუცილებელი კომპონენტი (საკვეთილო დაკვირვების კომპონენტი და ტრენინგი) იმისათვის, რომ იყოს დამკვირვებელი. ხოლო, რაც შეეხება მეორე კომპონენტს – მეორე ტრენინგ-მოდულს, ის გარე დამკვირვებელს ობიექტურ შეფასებაში ეხმარება. მონეულმა გარე დამკვირვებლებმა ეს ტრენინგიც გაიარეს. რაც შეეხება სკოლის ფასილიტატორებს, როდესაც რეგისტრაცია გამოცხადდება, ჩვენ უშუალოდ დავადგენთ, რომელი სკოლები და მასწავლებლები ჩაერთვებიან პილოტში, ამის შემდგომ გადავამზადებთ სწორედ იმ ფასილიტატორებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ გარე დაკვირვებაში. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, პროცესები ძალიან საინტერესო იქნება გასაანალიზებლად. რასაკვირველია, არ გვაქვს მოლოდინი, რომ ეს პროცესები უზარველოდ და უპრობლემოდ ჩაივლის. თუმცა, მზად ვართ, მათ დროულად გავუმკლავდეთ და გავაანალიზოთ, რომ მეორე სემესტრისთვის ხარვეზების გარეშე წარმართოს საქართველოს მასშტაბით.

– რადგან ტენდენციებზე ვსაუბრობთ, საინტერესოა, ბა-

რიერის მოხსნით გაიზარდა თუ არა საფეხურებზე გადამსვლელ მასწავლებელთა რაოდენობა? როგორი სურათია შარშანდელთან შედარებით?

– თუკი მასწავლებელი, კომპეტენციების დამადასტურებელ გამოცდებზე, სრულად მოაგროვებდა შემდეგ საფეხურზე გადასასვლელად საჭირო კრედიტების რაოდენობას, პირდაპირ მიდიოდა წინ, ანუ გადადიოდა შემდეგ საფეხურზე, წელს შედეგათა მცირე ნაწილი სწორედ ამ გზით დანინაურდა. ამის გარდა, ჩვენ გვყავს 500-მდე მასწავლებელი, რომლებმაც შეძლეს შიდა დაკვირვების გავლით შეეცდნენ საჭირო კრედიტები. ანუ იმან, რომ ზღვარი აღარ არის ხისტი და მხოლოდ მისი გადალახვა-გადაულახველობა არ განაპირობებს შემდეგ საფეხურზე გადასვლას, უფრო მოქნილი გახდა სტატუსის მინიჭების პროცესი, რამაც უფრო მეტ მასწავლებელს მისცა სტატუსის გაუმჯობესების შესაძლებლობა. ასეთები არიან მასწავლებლები, რომლებმაც 7 კრედიტი აიღეს, შიდა დაკვირვება გავლილი ჰქონდათ და, შესაბამისად, მათაც მიენიჭათ სტატუსი.

მონაცემები განსხვავებულია როგორც საგნების, ისე რეგიონების მიხედვით, მაგრამ ფაქტია, რომ 7-კრედიტიანი მასწავლებლები საკმაოდ ბევრი იყვნენ და, შესაბამისად, მათ ძალიან სწრაფ ტემპში წინსვლის საშუალება აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ საფეხურებრივი წინსვლა პრაქტიკოს მასწავლებლებს უფრო მეტად შეეხო და უფრო მეტ მასწავლებელს მიენიჭა უფროსის სტატუსი.

– აქვს თუა არა არამომქმედ მასწავლებელს უფლება, დარეგისტრირდეს პროფესიული კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდაზე?

– პროფესიული კომპეტენციის დადასტურება შეუძლია მხოლოდ მოქმედ მასწავლებელს, ხოლო მოქმედი მასწავლებლისთვის საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების თანმიმდევრობას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, შეუძლია ორივეზე ერთად გავიდეს ან ჯერ ერთი დადასტუროს, შემდეგ – მეორე, საკუთარი არჩევანის მიხედვით. რაც შეეხება გარე პირს, რომელსაც სკოლაში შემოსვლა სურს, მას საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება მოუწევს და თუ შედეგობის უფლება კვალიფიკაციით არა აქვს მინიჭებული – ერთნაირი მასწავლებლის მომზადების პროგრამის გავლა.

– რა მდგომარეობა გვაქვს არაქართულენოვან მასწავლებლებთან? როგორი სურათია აჩვენა გამოცდებმა?

– ეროვნული უმცირესობებისთვის ითარგმნა საგამოცდო ტესტები და მათ უკვე ჰქონდათ საშუალება, დაედასტურებინათ კომპეტენციები. განსხვავებული სურათი, შედარებით მძიმე მდგომარეობა გვაქვს რეგიონში, რადგანაც, სამწუხაროდ, არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლები ისე არ არიან ჩართულები პროფესიულ განვითარებაში, როგორც ქართულენოვანი სკოლის მასწავლებლები. ამ მიმართულებით გასაძლიერებელია მუშაობა. ეს მასწავლებლები დღემდე ასწავლიან პირველი რედაქციის ეროვნული სასწავლო გეგმებით, შესაბამისად, მათთვის არც მეორე რედაქციის ეროვნული სასწავლო გეგმების სახელმძღვანელოები თარგმნილა და თავისთავად – არც მესამე. აქედან გამომდინარე, მძიმე მდგომარეობაში არიან. როცა სახელმძღვანელოების გრიფირება დასრულდება, დაინყება თარგმნა და არაქართულენოვანი სკოლებისთვის მიწოდდება. აქედან გამომდინარე, მათთვის ხელმისაწვდომი გახდება განახლებული და სასწავლო გეგმით მოთხოვნილი ცოდნა.

რაც შეეხება სტატუსებს – არაქართულენოვან სკოლებში, ძირითადად, პრაქტიკოსი და მცირე რაოდენობით – უფროსი მასწავლებლები არიან.

ესაუბრა ლალი ჯეღაძე



ახალი უმაღლესი სასწავლებელი

ასხადებს კონკურსს

ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად

❖ სასწავლებლის პროფესორის თანამდებობაზე უმაღლესი შიდა კვალი არჩეულ იქნას დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს, არანაკლებ, 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

❖ სასწავლებლის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე, 4 (ოთხი) წლის ვადით, შიდა კვალი არჩეულ იქნას დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს, არანაკლებ, 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

❖ სასწავლებლის ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შიდა კვალი არჩეულ იქნას დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი.

კონკურსი გამოცხადდეს 2017 წლის 2 ოქტომბერს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 6 ნოემბრიდან 2017 წლის 17 ნოემბრის ჩათვლით. საკონკურსო მასალების განხილვა კომისიის მიერ და კონკურსის შედეგების საჯაროდ გამოქვეყნება მოხდეს, არაუგვიანეს, 2017 წლის 24 ნოემბრისა; აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება გაფორმდეს კონკურსის შედეგების გამოქვეყნებიდან, არაუგვიანეს, სამი კვირისა.

კონკურსი გამოცხადდეს ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შემდეგი მიმართულებით:

ბიზნესის ადმინისტრირება:

პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;

ასოცირებული პროფესორი – 2 საშტატო ერთეული;

ასისტენტ-პროფესორი – 2 საშტატო ერთეული.

ტურიზმი:

პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;

ასოცირებული პროფესორი – 2 საშტატო ერთეული;

ასისტენტ-პროფესორი – 2 საშტატო ერთეული.

საერთაშორისო ურთიერთობები:

პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;

ასოცირებული პროფესორი – 2 საშტატო ერთეული;

ასისტენტ-პროფესორი – 2 საშტატო ერთეული.

აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

- ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);
- ბ) კონკურსანტის ანკეტა (დადგენილი ფორმის მიხედვით);
- გ) პირადობის მოწმობის ასლი;
- დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული, დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი (შესაბამის სფეროში), კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული, დოკუმენტი (სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი – ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);
- ვ) გამოქვეყნებული შრომების სია, ბოლო 10 წლის განმავლობაში;
- ზ) ავტობიოგრაფია CV;
- თ) 1 ფოტოსურათი 3X4-ზე;
- ი) შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსი/სილაბუსები.

საკონკურსო დოკუმენტები მიიღება 2017 წლის 6 ნოემბრიდან 2017 წლის 17 ნოემბრის ჩათვლით, 10.00-დან 17.00 საათამდე, ახალი უმაღლესი სასწავლებლის კანცელარიაში. მისამართი: თბილისი, ჭყონდიდელის №26 (პირველი სართული, კანცელარიის ოთახი)

ინფორმაცია

გამოფენა ქართულ-გერმანული კროეჭტის ფარგლებში

მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიხსნა გამოფენა „არ დაკარგულა“, რომელიც საქართველო-გერმანიის დიპლომატიური ურთიერთობის 25 წლისთავს ეძღვნება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სამეცნიერო ბიბლიოთეკის საცავებში აღმოჩნდა გერმანიის ბიბლიოთეკების 100 000 წიგნი სხვადასხვა ენაზე. 1997 წელს, ერთობლივი პროექტის შედეგად, ეს წიგნები თავდაპირველ მფლობელებს დაუბრუნდა. ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას მხოლოდ წიგნების სატიტულო ფურცლების ქსერო-ასლები დარჩა.

20 წლის შემდეგ, ბიბლიოთეკამ ციფრულ ფორმატში გადაიყვანა ყველა ეს სატიტულო ფურცელი და მალე ელექტრონულად განათავსებს თავის საიტზე, ახლა კი, მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში, მათგან 1000 ყველაზე საინტერესო, გამოფენის სახით წარმოუდგინა მნახველს. გამოფენის გახსნის დღეს, ბიბლიოთეკაში აღმოჩენილი კიდევ რამდენიმე წიგნი გადაეცა გერმანულ მხარეს.

გახსნის ცერემონიას დაესწრო და შეერებილ აუდიტორიას მიმართა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ, ქეთევან ნატრიაშვილმა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ დიპლომატიური კორპუსის, უმაღლესი სასწავლო დაწესებულების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები.

„არ დაკარგულა“ – გერმანული წიგნების სატიტულო ფურცლების გამოფენა 25 სექტემბრიდან 4 ოქტომბრის ჩათვლით გაიმართა.

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა ყველაზე მდიდარი ბიბლიოთეკაა საქართველოში, რომელიც ფლობს 4 მილიონამდე წიგნად ფონდს, უახლეს და რარიტეტულ ეგზემპლარებს, აგრეთვე 20 000 ელექტრონულ ჟურნალს, 100 000 უცხოურ ელექტრონულ წიგნს, 22 მილიონ პატენტს, 400 საზღვარგარეთ დაცული ქართული ხელნაწერის მიკროფირს. ბიბლიოთეკა ემსახურება საქართველოში მეცნიერების განვითარების ხელშეწყობას, განათლებისა და მეცნიერების დონის ამაღლებას, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას.



რეკლამა

რა სიასლევით დაიწყო ახალი სასწავლო წელი

როგორ შეხვედნენ საქართველოს რეგიონების საჯარო სკოლები ახალ სასწავლო წელს – მიღწევების, პრობლემების, განსახორციელებელი პროექტების შესახებ საუბრობენ სხვადასხვა რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრების უფროსები.

ტრისტან მურადაშვილი
ასპინძის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი



2017-2018 სასწავლო წელი ყველა სკოლაში 15 სექტემბერს დაიწყო. ასპინძის რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე 18 საჯარო სკოლა ფუნქციონირებს, მათგან 12 – საშუალო საფეხურის, 6 – საბაზო, სოფელ დამალის საჯარო სკოლა არაქართულენოვანია /სომხური/.

სკოლები სრულადაა აღჭურვილი ინვენტარით, სახელმძღვანელოებით, თვალსაჩინოებითა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის საჭირო მასალებით.

წელს ყველა პირველკლასელმა მიიღო ახალი კომპიუტერი. განსაკუთრებით აღსანიშნავია გასულ წელს დაწყებული პირველკლასელთა რიცხოვნობის ზრდის სასიხარულო ტენდენციის გაგრძელება. თუ შარშან, წინა წელთან შედარებით, 13 პირველკლასელი მეტი გვეყავა, 2017-2018 სასწავლო წლისათვის მათი რიცხვი 32-ით აღემატება შარშანდელს.

გასულ სასწავლო წელს, თავისუფალი გაკვეთილების პროგრამის ფარგლებში, გრანტი მოიპოვეს და უკვე დაფინანსდა დაბა ასპინძის, ოშორის, იდუმალის, ნაქალაქევის, აწყვიტის, ტოლოშის, დამალის საჯარო სკოლების მიერ წარდგენილი პროექტები. პროგრამის მონაწილე სკოლებს წელს კიდევ რამდენიმე სკოლა შეემატება.

ზაფხული დატვირთული იყო ტრენინგებითა და სხვა აქტივობებით, მათ შორის: ლიდერობის აკადემიის, VII-XII კლასების ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ინგლისურის და გეოგრაფიის მასწავლებლებისთვის დაგეგმილი და სხვა ტრენინგები, რომელიც მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას ემსახურება.

წელს, საზაფხულო ბანაკებში, ჩვენი სკოლების ასობით მოსწავლემ დაისვენა. დაბისა და მცირეკონტინგენტის სკოლების ბავშვები იყვნენ ანაკლიის, წყნეთის, სიღბაურის, ქუთაისის, კაჭრეთის და სხვა ბანაკებში და უსაზღვროდ კმაყოფილი დაბრუნდნენ, მაღლიერებას გამოხატავენ მშობლებიც, რომელთა შვილებს სწორედ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2017 წელს განხორციელებულმა „საზაფხულო სკოლების“ პროგრამამ „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“ მისცა აქტიური დასვენებისა და გაჯანსაღების საშუალება.

წინა წლების მაჩვენებელთან შედარებით, არ გაზრდილა იმ კურსდამთავრებულთა რიცხვი, ვინც ვერ აიღო ატესტატი. საჯარო სკოლების კურსდამთავრებულთა უმეტესობამ წარმატებით ჩააბარა ეროვნული გამოცდები და სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი გახდა. მათგან ბევრმა მოიპოვა გრანტიც. განსაკუთრებით აღვნიშნავდი დაბა ასპინძის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულის, **რატო ზედგინის** წარმატებას, რომელმაც ამერიკის ერთ-ერთი გამორჩეული უნივერსიტეტის სასწავლო გრანტი მოიპოვა და ნამდვილად ასახელა მშობლიური სკოლა.

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ, 2017-2018 სასწავლო წლის დაწყებამდე, დასრულდა სველი წერტილების მშენებლობა აწყვიტის საჯარო სკოლაში, წლევანდელი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია გათბობის სისტემების რეაბილიტაცია ნაქალაქევისა და ოშორის საჯარო სკოლებში, შიდა სველი წერტილების რეაბილიტაცია დაბა ასპინძის საჯარო სკოლაში, დასრულებულია ორგორის საჯარო სკოლის მშენებლობის საპროექტო სამუშაოები. საკუთარი სახსრებით სარემონტო სამუშაოები დასრულდა საროს, ჭობარეთის, იდუმალის, ოთის, მირაზხანის, ივერიის, დაბა ასპინძის საჯარო სკოლებში. გამოვლინდა ტენდერში გამარჯვებული კომპანიები, რომლებიც უახლოეს დღეებში დაიწყებენ სანავი შეშით სკოლების მომარაგებას.

მასწავლებელთა ერთმა ნაწილმა წარმატებით დაადასტურა საგნობრივი და პროფესიული კომპეტენცია ივლისში ჩატარებული გამოცდების დროს. წელს სკოლებში კიდევ უფრო მეტი უფროსი მასწავლებელი გვეყოლება. რაც შეეხება კადრებს: რამდენიმე სკოლაში გვჭირდება ქიმია-ბიოლოგიისა და ინგლისური ენის კვალიფიციური მასწავლებლები.

გადაუჭრელი პრობლემები არ გვაქვს. როგორც აღვნიშნეთ, დასრულებულია ორგორის საჯარო სკოლის მშენებლობის საპროექტო სამუშაოები. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელიც, იმედია, მალე მოგვარდება. სხვა მხრივ, სკოლებში ჩვეულებრივი, საინტერესო და ახალი გამოწვევებით დატვირთული სასწავლო წელი დაიწყო.

ეთარ დავითაშვილი
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, როგორც მთელ საქართველოში, ახალი სასწავლო წელი სიახლეებით დაიწყო. საჯარო სკოლებიდან სულ 97 აბიტურიენტი აბარებდა ეროვნულ გამოცდებს, აქედან 5-მა 100%-იანი გრანტი მოიპოვა, 4-მა – 70%-იანი, 8 აბიტურიენტი – 50%-იანი, 17 უფასო ფაკულტეტებზე ჩაირიცხა. ეს სასწავლო წელი განსაკუთრებით წარმატებული იყო დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლისთვის, რადგან 3-მა აბიტურიენტმა მოიპოვა 100%-იანი გრანტი. ასევე წარმატებული იყო სოფელ ზემო მანხანის საჯარო სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის – სამოგზაურო რეიტინგის 2016-2017 სასწავლო წლისათვის სკოლა პირველ ადგილზე (დირექტორი – **მაია ზუნაშვილი**), ოთხ საგანმანათლებლო რესურსცენტრს მოსწავლეებმა და, პედაგოგებთან ერთად, ოქტომბრის ბოლოს, გაემგზავრებინა კანადოკიში. არანაკლებ წარმატებული იყო მასწავლებლებისათვის ეს სასწავლო წელი. მათ სასერტიფიკაციო გამოცდები ჩააბარეს და ელოდებიან სტატუსის გაუმჯობესებას – გახდნენ უფროსი მასწავლებლები. კვალიფიციური კადრების ნაკლებობას რაიონი არ განიცდის. მაგალითად, არბოშის საჯარო სკოლის 25-ივე პედაგოგი სერტიფიცირებულია.

სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 2 სკოლას, სოფელ სამრეკლოსა და სოფელ საბათლოს საჯარო სკოლებში. ისევე როგორც ყველგან, რაიონის სკოლებშიც არის გარკვეული პრობლემები. რეაბილიტაცია ესაჭიროება რამდენიმე საჯარო სკოლას, 2 საჯარო სკოლის პროექტი მზადაა და უახლოეს მომავალში დაიწყება რეაბილიტაცია.

ლია ბაქაშვილი
სიღბაურის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი



ახალი სასწავლო წელი სიღბაურის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლებში ჩვეულ პოზიტიურ გარემოში დაიწყო. რაიონში 20 საჯარო და 3 კერძო სკოლაა, სადაც 3529 მოსწავლე სწავლობს, 289 პირველკლასელია.

გასული სასწავლო წელი 290-მა მეთორმეტეკლასელმა დაამთავრა, მათ შორის 46 მედალოსანი იყო – 35 ოქრო და 11 ვერცხლი. უმაღლეს სასწავლებლებში 124 აბიტურიენტი ჩაირიცხა, 43-მა გრანტი მოიპოვა, 100%-იანი დაფინანსება – 6-მა და 70%-იანი – 8 მოსწავლემ. სამწუხაროდ, მე-12 კლასელთა გამოსაშვები გამოცდები 71-მა მოსწავლემ ვერ ჩააბარა, რისი მიზეზიც სწავლის მიმართ მოსწავლეთა არასათანადო ინტერესი იყო. მუნიციპალიტეტის სკოლებს 668 მასწავლებელი ემსახურება, აქედან 200 სერტიფიცირებულია.

მიმდინარე წელს კვალიფიკაცია აიმაღლა და გამოცდა ჩააბარა 71-მა პედაგოგმა.

პროფესიული განვითარების სქემა მასწავლებლების შემდგომი წინსვლისთვის კარგი მოტივატორია, მათ დასახეს გეგმები, სქემის ფარგლებში, შემდგომი განვითარებისთვის. STEM-ის სავნების მასწავლებლებმა, ზაფხულში, ტრენინგები გაიარეს. ლიდერობის აკადემია, პრაქტიკულად, ყველა სკოლის დირექტორმა და ფასილიტატორმა გაიარა. დაიგეგმა წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები, ეს ეხება სხვადასხვა სასწავლო და სოციალურ პროექტს და კლუბურ მუშაობას.

ანაგის საჯარო სკოლაში წარმატებულად მიმდინარეობს ფრანგული ენის სწავლება. უკვე მეორე წელია, სკოლის წარჩინებული მოსწავლეები მიემგზავრებიან საფრანგეთში, სადაც უჭარბდება მასტერ კლასები ფრანგული ენის უკეთ დასაძლევად.

სოფელ საქობოს საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელმა **სოფი ყარალაშვილი** ინტელექტუალურ ჩემპიონატ „ეტალონში“ მეორე ადგილი მოიპოვა, ჯილდოდ 6000 ლარი და სხვა მრავალი პრიზი მიიღო. საბაზო საფეხურის 28 წარმატებული მოსწავლე, „ჩემი პირველი კომპიუტერის“ ფარგლებში, კომპიუტერებით დაჯილდოვდა.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდის პროგრამის ფარგლებში, 2018 წლის იანვრის შემდეგ, ტიბაანის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია იგეგმება, ხოლო შიდა სასკოლო

ხარჯებით, რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე, თითქმის ყველა საჯარო სკოლაში, პირველკლასელთა საკლასო ოთახების რეაბილიტაცია განხორციელდა.

რაიონში ძირითადი პრობლემა ახალგაზრდების მიგრაციაა, რაც პირდაპირ აისახება სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობაზე.

კახაბარ ამბროლაური
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი



ჩვენს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული 22 საჯარო სკოლა ახალ 2017-18 სასწავლო წელს სრული მზადყოფნით შეხვდა, მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან სასკოლო სახელმძღვანელოებითა და რეგულაციებით. 91 პირველკლასელს დაურიგდა ბუკები. ტრადიციულად, გვასახელეს აბიტურიენტებმა ეროვნულ გამოცდებზე – 80 კურსდამთავრებულიდან 57-მა ჩააბარა აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში, მათგან 25%-მა გრანტი მოიპოვა.

სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა საჯარო სკოლებს: ქალაქ ამბროლაურის №1 საჯარო სკოლაში გადაიხურა II კორპუსი, მოწესრიგდა სველი წერტილები და მოეწყო სპორტული მოედანი, მთლიანად გამოიცვალა გათბობის სისტემა, სოფელ ბოსტანის საჯარო სკოლაში გამოიცვალა სახურავი, ჩატარდა ეზოს კეთილმოწყობითი სამუშაო, სოფელ სადმელის საჯარო სკოლაში ჩატარდა კონსტრუქციული სამუშაოები, აღიჭურვა სამედიცინო კაბინეტი. სარეაბილიტაციო სამუშაოები ტარდება ზვანჭკარის, ჭრებლოს, ჭყვიშის და ურავის საჯარო სკოლებში.

საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის ფარგლებში, სასკოლო ტრანსპორტი ემსახურება 14 საჯარო სკოლას, რეისები 37 მიმართულებით ხორციელდება.

მცირეკონტინგენტიანი სკოლების საბაზო საფეხურის მოსწავლეებმა ისარგებლეს ზამთრისა და საზაფხულო ბანაკებით, სადაც ერთი კვირა გაატარეს საინტერესო და შემოქმედებითად.

წელს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა – **ლია ჯოხაძემ** და **ნინო ჯანელიძემ** გაიმარჯვეს სამოქალაქო განათლების ოლიმპიადაში და იმოგზაურეს ინგლისის ქალაქ ოქსფორდში, სადაც გაიარეს სამკვირიანი ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები. ამავე სკოლის მოსწავლეები – **გიორგი ელბაქიძე**, **გივი გოგობერიძე**, **გიორგი გოგრიჭანი**, **ვლადიმერ** და **ჭაბუკი გამყრელიძე** – საქართველოს ასაკობრივი ნაკრების სახელით, წარმატებით ჭიდაობენ საერთაშორისო ასპარეზზე.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა – **ნინო ხუციძემ** და **მარიამ მარგველიძემ** – თავი საგნობრივ ოლიმპიადაში გამოიჩინეს.

მიგრაციის ფონზე დაცარიელებულია სოფლები, რის გამოც ბევრ სკოლაში მოსწავლეთა ძალზე მცირე რაოდენობაა, პრობლემა კვალიფიციური ახალგაზრდა კადრებიც.

ირინე კორძანია
ტყიბულის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი



ტყიბულის მუნიციპალიტეტში 24 საჯარო სკოლა ფუნქციონირებს, სადაც, დღეის მდგომარეობით, 2215 მოსწავლე სწავლობს. 2016-2017 სასწავლო წლის შედეგების მიხედვით, მუნიციპალიტეტში 18 მედალოსანი (14 – ოქრო, 4 – ვერცხლი). პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერის“ ფარგლებში, საბაზო საფეხური წარჩინებით (მეფასება – 10 ქულა, დამრგვალების გარეშე) დაძლია 32-მა მოსწავლემ.

2017-2018 სასწავლო წელი ბევრ სიახლეს ჰპირდება მოსწავლეებს, კერძოდ, უფრო აქტიური და შინაარსიანი იქნება როგორც ფორმალური განათლების ნაწილი, ისე დამატებითი აქტივობების თვალსაზრისით. საინტერესო იქნება გაკვეთილები, რომლებსაც ჩვენი მასწავლებლები ჩაატარებენ, ვინაიდან ზაფხულში, პროფესიული განვითარების მიზნით, ინტერაქტიული სწავლების მეთოდიკაში, პედაგოგებს ძალიან ბევრი საინტერესო ტრენინგი ჩატარდა; ასევე ჩატარდა „ლიდერობის აკადემიის“ ტრენინგები სკოლების ადმინისტრაციების წარმომადგენლებს და დირექტორებს, როგორ

რაპორტი

გახდენ ისინი სასწავლო პროცესის ლიდერები, როგორ და-

რაც შეეხება სასკოლო ცხოვრების გააქტიურებას, გასულ

ბევრი საინტერესო პროექტია დაგეგმილი ჯანსაღი ცხოვ-

2017-2018 სასწავლო წლიდან ტყიბულის მუნიციპალიტე-

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დონე

დასრულების ფაზაშია მუშურის საჯარო სკოლის მშენებ-

მომავალი სასწავლო წლისთვის იგეგმება №7 საჯარო

შეადგენს. მიმდინარე წელს 81-მა პედაგოგმა ჩააბარა სასერტიფი-

პრობლემები საჯარო სკოლებში, ძირითადად, ინფრასტ-

ყოველწლიურად ნაწილში გვარდება, სისპ საგანმანათლებ-

ირაკლი ზვინაძე თიანეთის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი



თიანეთის რაიონში სულ 13 საჯარო სკო-

რაიონის სკოლებში სულ დასაქმებულია 247 პედაგოგი.

დღის მდგომარეობით, ყველა სკოლას 24-საათიან რე-

რეაქტიული უფროსი მასწავლებლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია

რვა სკოლაში შემოტანილი იქნება ზამთრის სეზონისათვის

მიმდინარე წელს დასრულდა დაბა თიანეთის №1 საჯარო

თორნიკე კანინაშვილი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი



ზესტაფონის მუნიციპალიტეტში სწავ-

228 აბიტურიენტი გახდა სტუდენტი, აქედან 86-მა მოიპოვა

ზესტაფონის საგანმანათლებლო სისტემაში აქტიურად

9 სკოლას ჩაუტარდა ნაწილობრივი რეაბილიტაცია რო-

ზაფხულზე დაიწყება.

მომზადდა ბაკა ყიფინაძე

საუბრაჲი ლიტერატურაჲე

ინტელიგენციის პრობლემა მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „ჯაყოს ხიზნები“

„ისტორიას ალტერნატივა არ გააჩნია. ისტორია არის მხო-

საქართველოს ისტორიაში მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლე-

ჩამოყალიბდა საზოგადოების ფენა, რომელიც დადგა

საზოგადოებრივმა ცხოვრებამ სამი, ერთმანეთისგან რადი-

რი ტკივილებით, გაორებული ადამიანის სახეებმა იჩინა თავი.

ახალ პოლიტიკურ ვითარებაში, საქართველოს პოლიტიკუ-

„1927 წელს სვიმონ ყიფიანი წერდა: „ქართულ მწერლობაში

„ჯაყოს ხიზნები“ ახალი სიტყვაა არა სექსუალური საკითხის,

ავტორის აზრით, ადამიანი, რომელსაც არ შეუძლია სიყვარ-

დაცვა და დაფასება, ვინც მშობლიურ მიწა-წყალს ვიღაც გა-

რომანში ილუპება ამალღებული და იმარჯვებს მხეცური,

მიხეილ ჯავახიშვილმა ყველა ეპოქისთვის აქტუალური ნა-

წარმოებით – „ჯაყოს ხიზნებით“ – იწინასწარმეტყველა ქარ-

წონა კეველიშვილი №190 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა: 1. ირაკლი აბაშიძე, „ზარები 30-იანი წლების გრიგალიდან“, თბ. 2001, გვ.3-4;

საუკეთესო მოთხრობა მასწავლებელზე

ლალი ჯიქაძე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა და „ლიბერთი ბანკმა“, მასწავლებლის კვირეულის ფარგლებში, ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული მწერლები დააჯილდოვა. 62-მა გამომცდილმა თუ შედარებით ახალბედა მწერალმა გადაწყვიტა, არც თუ ისე იოლად შესაქმნელ ნაწარმოებს შესჭიდებოდა – კონკურსის თანახმად, ლიტერატურაში უნდა აესახათ მასწავლებლის რეალური სახე, თავის პრობლემებით, მიღწევებით, იმ არც თუ სახარბიელო ყოველდღიურობით, რომელიც პედაგოგს ხშირად პროფესიულ საქმიანობაშიც კი უშლის ხელს. და ეს ყველაფერი ისე მაღალმხატვრულად უნდა გაეკეთებინათ, რომ საკმაოდ წარმომადგენლობითი ფიქრის: **ნენე კვინიკაძეს, ლევან ბერძენიშვილს, ზვიად კვარაცხელიას, დავით გაბუნიას და მარი კორინთელს** მოსწონებოდათ და 62-ში გამოერჩიათ. ნელს, ფიქრის ასე მოხიზვლა პოეტმა და ჟურნალისტმა **ეკა ქვეანიშვილმა** შეძლო, მოთხრობით „მე არ ვარ, მასწავლებელი“. 62 მონაწილე ავტორიდან ფიქრის საუკეთესო ათეული გამოავლინა, რომელსაც ჟურნალმა „მასწავლებელმა“ სპეციალური ნომერი მიუძღვნა.

სულ ერთი წლის ისტორიის მქონე კონკურსი, როგორც ჩანს, ახალგაზრდა თაობის ქართველი მწერლებისთვის საკმაოდ პოპულარულიც კი გახდა, რაც, თავისთავად, კონკურსის ინიციატორებისა და ორგანიზატორებისთვის ძალიან სასიხარულოა. **გიორგი მაჩაბელი** ფიქრობს, რომ მომავალში ის კიდევ უფრო მასშტაბური და პრესტიჟული გახდება.

ლიტერატურული კონკურსის „საუკეთესო მოთხრობა მასწავლებელზე“ მიზანი მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაცია და მისი საქმიანობის მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა. **ნატალია ინგოროყვა** ამბობს, რომ: „კონკურსი პირველად შარშან ჩაატარეს, დაინტერესება დიდი იყო და გამომხატურებელიც მარავალეროვანი. ამიტომაც, ცენტრის ორგანიზებითა და მხარდაჭერით, ჟურნალმა „მასწავლებელი“ და „mastsavlebeli.ge“-მ კონკურსი წელსაც გამოვაცხადეთ. მისი მიზანი მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაცია და ლიტერატურაში მისი ყოვლისა და ცხოვრების ასახვაა. ამ მხრივ, ჩვენი ლიტერატურა მდიდარი ნამდვილად არ არის, ამიტომ, ვფიქრობ, ამ მიმართულებითაც ძალიან მნიშვნელოვანი რამ კეთდება. ხშირად ვამბობ კოლეგებთან, რომ 20-30 წლის შემდეგ, ამ მოთხრობებს კიდევ უფრო დაეძვება ფასი, რადგან მათში მოთხრობილი იქნება თანამედროვე მასწავლებლის ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ.“

ლია გიგაური კონკურსს, გარკვეულწილად, გამოწვევად მიიჩნევს მწერლებისთვის, „იმ ადამიანებისთვის, ვინც იფიქრა მასწავლებლის პროფესიაზე. მინდა მადლობა გადავუხადო იმ 62 ადამიანს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კონკურსში და დრო დაუთმო მასწავლებლის საქმიანობაზე ფიქრს. მიუხედავად იმისა, ვინ აღმოჩნდება კონკურსის ფიქრის მიერ არჩეული საუკეთესო მოთხრობის ავტორი, ჩვენივე, ყველა მათგანი თანაბრად მნიშვნელოვანია.“

ფიქრის ნეერი **ნენე კვინიკაძე** საუბრობს კონკურსში მონაწილე ავტორების მწერლურ ოსტატობაზე, რამაც მათი მოთხრობები ასე საინტერესო და ღრუბული გახადა. როგორია 2017 წლის „ლიტერატურული მასწავლებელი“? – ამ კითხვაზე ნენე კვინიკაძე მპასუხობს, რომ: „გამომდინარე იქიდან, რომ 62 ტექსტზეა საუბარი, კონკურსში ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებულ პერსონაჟებზე მოგვითხრობენ. ფიქრის ნევრებს ყველაზე მეტად მოგვწონდა, როგორ იმსხვერუდა ჩვენ თვალწინ ამ დრომდე არსებული სტერეოტიპები. კონკურსში ძალიან გამოცდილი მწერლები მონაწილეობდნენ. ამიტომ ვცდილობდით, რაც შეიძლება მეტი ახალი სახელი აღმოგვეჩინა, თუმცა კონკურსის პირობა ყველასთვის ერთია და მასში თანაბარი ბრძოლა უნდა ახალბედებსაც და გამოცდილ ავტორებსაც. ზოგიერთ მოთხრობაში აღწერილი იყო ჩვენივე, ყველასთვის კარგად ნაცნობი 90-იანების ატმოსფერო – ქუჩაში სროლა, ნახევრად დაკეტილი, გაყინული სკოლები... ჩვენი შეგროვილი თანხით ძლივს ვამბობთ საკლასო ოთახები. მომეწონა ამ ამბების მოულოდნელი დასასრული. მომეწონა მოთხრობებით კარგად გამოკვეთილი დეტალური ხატის პროცესი –

კონცენტრირება არა მხოლოდ თბილისზე, არამედ რეგიონის სკოლის ამბებზე. ყველას ვურჩევ, ათივე საუკეთესო მოთხრობა წაიკითხოთ, რადგან კონკურსმა ბევრი საინტერესო შრე წარმოაჩინა, რომელიც ერთნაირად დააფიქრებს ძალიან მნიშვნელოვან საკითხებზე როგორც ახალგაზრდებს, ისე თვითონ მასწავლებლებს, ზოგადად მკითხველს.

ათივე მოთხრობის სიუჟეტური განვითარება მოულოდნელობითაა სავსე, რაც, თავისთავად, მწერლის ოსტატობას უსვამს ხაზს და ათივე მოთხრობა სწორედ ასეთი მოულოდნელი განვითარებითაა ღირებული.“

კონკურსის პარტნიორები იყვნენ გამომცემლობები: „ინტელექტი“, „ნიგნები ბათუმში“ და „პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაცია“, რომლებმაც თავიანთი რჩეულებისთვის განსაკუთრებული პრიზები დაანესეს. დაჯილდოება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა და საუკეთესო ათეულიდან (**თორნიკე ჭელიძე** – ჯავახეთის დღიური; **დიანა ანფიმიანი** – კავშირი; **ეკა ქვეანიშვილი** – მე არ ვარ, მასწავლებელი; **ზურა აბაშიძე** – სამშატო ერთეულები; **ლევან ლორია** – კურუმ, კურუმ; **ლუკა ბაქანიძე** – ისროდნენ, მასწავლებელი; **ნათია როსტიაშვილი** – ჩემი საქმე ნასულა, მარუს; **ცოტნე ცხედიანი** – ცხენების გაშვება; **მიშა ბასსოლიანი** – ჯართულის მასწავლებელი; **ინა არჩუაშვილი** – დედუკა ბექაური) სამი საუკეთესო მოთხრობა გამოვლინდა: I ადგილი – **ეკა ქვეანიშვილი**, მე არ ვარ, მასწავლებელი; II ადგილი – **ზურა აბაშიძე**, სამშატო ერთეულები; III ადგილი – **ლუკა ბაქანიძე**, ისროდნენ, მასწავლებელი.

გამარჯვებულებს ლიბერთი ბანკისაგან ფულადი პრემია და მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისაგან პერსონალური პორტატული კომპიუტერები გადაეცათ. კონკურსის მხარდაჭერებისა და პარტნიორების პრიზები გადაეცათ: **თორნიკე ჭელიძეს** („პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაცია“), **ინა არჩუაშვილს** და **ნინია სადღობელაშვილს** (გამომცემლობა „ინტელექტი“), **ლევან ლორიას** და **დიანა ანფიმიანს** (გამომცემლობა „ნიგნები ბათუმში“). კონკურსის საუკეთესო ათეულს სამახსოვრო პრიზები გადასცა ჟურნალმა „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთმა **mastsavlebeli.ge**.

2017 წლის მასწავლებელზე საუკეთესო მოთხრობის ავტორი ეკა ქვეანიშვილი, ამბობს, რომ გამარჯვებას არ ელოდა, რადგანაც ათეულში გამომცდილ პროზაიკოსებს შორის მოხვდა. „ჩემი მოთხრობა არ არის იდეალურ მასწავლებელზე, არამედ არის იმაზე, როგორ შეიძლება გახდეს უკეთესი. მე ის მასწავლებლები მახსოვს, ვისთანაც თავისუფლებაზე, გახსნილობაზე და ყველაზე დაფარულ რამზე შემეძლო ლაპარაკი, რაზეც მშობლებთანაც კი არ ვლაპარაკობდი. ასეთი მასწავლებლებზე უფრო მეტი მახსოვს, ვიდრე მათზე, ვინც კარგად მასწავლიდა ქართულს ან მათემატიკას... ამიტომ გისურვებთ, რომ თქვენც იყოთ ასეთი მასწავლებლები და ჩემს შვილს ვუსურვებ, რომ ჰყავდეს ასეთი მასწავლებლები.“

ეს არის მოთხრობა იმაზე, როგორ შეიძლება არც თუ ისე ჰუმანური მასწავლებელი გახდეს უფრო ჰუმანური, გახდეს უკეთესი, ვიდრე ის იყო და ამას ხედავდნენ მისივე მოსწავლეები. ეს მოთხრობა უმცირესობის წარმომადგენლებზეა, როგორ შეიძლება მათი უფლებები დაიცვას სწორედ მასწავლებელმა ძალიან ჩაკეტილ სივრცეში, კონკრეტულად სოფელში, პროვინციაში. არ ველოდი გამარჯვებას, რადგანაც პროზაში ჩემი პირველი მცდელობები და ცხადია, ძალიან გამიხარდა.“

ლუკა ბაქანიძე: „კონკურსის გარეშეც ძალიან სენსიტიური და მნიშვნელოვანია ჩემთვის ზოგადად ეს თემატიკა – მოზარდი, სკოლა და ლიტერატურაშიც ძალიან ხშირად ვიყენებ. მართლა პატივი და სიამოვნება იყო კონკურსში მონაწილეობა, მით უფრო გამარჯვება.“

ზურა აბაშიძე: „შარშანაც იყო მონაწილეობა, წელსაც ვიღებ და ალბათ სულ მივიღებ, რადგანაც ჩემთვის ეს თემატიკა არ იწურება. რაც შეეხება გამარჯვებას, ეს მე არ მეკუთვნის, ალბათ უფრო დედას, რომელიც პროფესიით მასწავლებელია და, დაახლოებით, იმ ასაკიდან ასწავლის, რა ასაკისაც მე ვარ. ჩემი მოთხრობის პერსონაჟებიც მისი თანამშრომლები არიან, ადამიანები, რომელთა ისტორიებიც მუდმივად მესმის. ამიტომ დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მას.“

მე არ ვარ, მასწავლებელი!

ეკა ქვეანიშვილი

მოდიოდა და ხელს დილის წვიმისგან ჯერ კიდევ სველ ზამბახებს აყოლებდა. ზამბახები მორიგეობით იზნიქებოდნენ წელში და ისევ სწორდებოდნენ, შერჩენილ წვეთებს იბერტყავდნენ. ხუთი წლის წინ დარგო ისინი გეგვს ქეთო. ქეთო ეუბნებოდა, როცა სკოლაში ამ გზით ნახვალ, მათი მელნისფერი სინათლე გაგაცილებსო. გეგვს ეცინებოდა, მელნისფერი სინათლე რაღააო. ქეთოსთვის ბებია არასდროს დაუძახია. გეგვს ქეთო იმ წელს მოკვდა, როცა ზამბახები პირველად აყვავდნენ – ხალიჩა ჩაიტანა მდინარეზე გასარეცხად, ფეხი დაუცვდა და თავი ქვას დაარტყა – იქვე მოცურავე გეგვს ჩააკვდა ხელში. იმ დღის მერე გეგვმაც დაივიწყა მდინარის გზა. გეგვს ქეთოს გეგვსი უსიტყვოდ ესმოდა. როცა გეგვმ პირველად დედამისის შარფი მოიხვია ყელზე და დედამისის მაღალ ქუსლებზე შედგა, ქეთო კარის ღრიჭოდან უყურებდა. მერე სამალავიდან გამოვიდა და მის გვერდით დადგა, სარკის წინ. გეგვს რომ სახე აელენა და გაქცევა დააპირა, ხელები შემოხვია და გულში ჩაიკრა. ჩუ, უთხრა, ჩუ. ადამიანები ვართ. ჩუ. გეგვსად არისო და, გეგვს ქეთოს ეცოდინებოდა. გეგვს თუ მოგვხვდებოდნენ, ეგ გეგვს ქეთოს ჰკითხებოდა, არ მოკვდები, ბოლოს რომ უყვირა. მამინაც ასე უპასუხა, ჩუ.ჩუ. ადამიანები ვართო. მოდიოდა გეგვს სკოლაში ზამბახების მელნისფერი სინათლის გავლით და სძულდა მთელი კლასი. სძულდა ლუბა დამრიგებელიც. თავისი თამბაქოსფერი ბერეტი.

ლუბა

35 წელია ქალი ვასწავლი და, ასეთი არავისთვის არაფერი შემიმჩნევია. არა, ქალაჩუნი როგორ არ ყოფილან სკოლაში, მაგას რა დამავინწყებს, დედააა. სულ რომ დედამთების კალთას გამოკერებულები დადიოდნენ და მეგობრობითაც ბიჭებისკენ არ იხედებოდნენ, სულ მაგათი ზღუქუნი ისმოდა სკოლაში და მაგათი წინაშე მდებარე მონაწილეობაში ვიყავი. თან როგორ მეზიზღებოდა! 25 წლისა მივედი პირველად სკოლაში და უცებ ამდენი ბავშვი, რა გასაკვირია, მაგრამ წლები რომ გავიდა და ეს ვითომ ქალაჩუნები მოვიდნენ დაბერილი ღიპებით და ცოლ-შვილებით, ლუბა მასწავლებელი, ხელში ატაცებდნენ და პატივისცემით... ერთმა ისეთი შარფი მაჩუქა, ქაშ-მირის! მამინ კი მიხარდა. და ეს. ეს რაღაც სხვა შემთხვევაა. მოვა, დაჯდება ისე, თითქოს სიპ ქვაზე იჯდეს და ზის. თმასაც ისე გადაინებს ხოლმე, ჰაეროვნად, ქალივით. თან ამ ბოლო დროს რაღაც საეჭვოდ ჩამოეზარდა შუბლზე. არ იჭრის. დი-

რექტორმა დაიბარა, უთხრა და არ იჭრის მაინც. გულში ათასნაირი აზრი გამკრავს ხოლმე, იმნაირი ხომ არ არისო, იმ დღეს ანეტამაც ეგ მოთხრა. ისე, კი სწავლობს რაც უყვარს. შეძგრება ხოლმე ქიმიის ამოცანებში და თავს ვერ აანევენებ. რეაქციები აინტერესებს. რა რას ერევა და შერევისგან რა მიიღება. გეგვს, გეგვს, ვეძახი, ის კიდევ გამალებული წერს. რას ეტყვი. მამამისი დიდი კაცია. გვიციდის და გაგვიციდის. ვერ ეტყვი რამეს, ვერც ჰკითხავ. ვაი, და, სახლში მიიტანოს ენა. არადა, აშკარაა, რაღაცა ვერა აქვს წესრიგში. ანეტას პირზე რა დააკვდება და იმ დღეს ამბავი მოიტანა, სოფლის ბოლოში რომ ძველი სახერხია, იქ შენიშნეს უცხო მანქანასთან იდგაო და მერე მამამისი მივარდნილა საიდნალაც. რას აკეთებდა ნეტა იმ მანქანაში თუ მანქანასთან. არ მინდა რამე ვიფიქრო, მაგრამ ფიქრს რომ ვინყებ, გული მერევა და სულ მინდა მხარედ შემოვარტყა. მაგრამ ამ შემორტყმასაც მიზეზი ხომ უნდა ჰქონდეს. კლასში არაფერს აშავებს. მარტო ზის და იყურება სადალც. ან შენ გაკვირდება. ჰკითხავ რამეს, თითქოს ხანგრძლივი ძილ-ბურანიდან გამოერკვაო, მაგრამ მაინც გპასუხობს. ისე კი, 13 წლის ბიჭის პირობაზე, ჭკვიანზე მეტიცაა. აი, ალექოზე ჭკვიანიცაა, დემნაზეც, ირინაზეც. მაგათ ყველა დღემპიადა მოიგეს, ეს კიდევ, არსადაც არ გადის. დედამისი რასა ფიქრობს ნეტა, დედამისი. ყოველდღე ახალი კაბით რომ გამოდის სახლიდან. დღეს გამოვკითხავ ერთი გაკვეთილს. თხრობის დროსაც უცნაურად წელავს სიტყვებს. არა, მგონი, არც არაფერი მეჩვენება.

ბებე

მამაჩემმა მოთხრა, შუშა დაჩეხე, კუნთები გაგიმარდება, ბიჭო. უჩასაც კი შეუძლია დაჩეხოს, სულ ეგ აკეთებს სახლის საქმეებს, მაგრამ მამაჩემმა მაინც ეგრე მოთხრა. მე ვუთხარი, ტყუილად რატო დაჩეხო, სანამ მე ერთ კუნძს გავაპობ, უჩა ხოლმე კვირისას დაჩეხავდა. გაბრაზდა. როცა გაბრაზდება ხოლმე, გვერდზე გადაფურთხება იცის. ვიცი, მაგას რა უნდა. მაგას უნდა მე ვიყო ვაჟკაცი. მაგას უნდა, მე მაგარი გამოსაჩენი შვილი ვყავდე და რვა შვილიშვილი გავუჩინო. ეგრე უნდა. თვითონ მე და ჩემი და ჰყავს მარტო. და ჩემგან უნდა გვარის გადაჩრჩხვა და გაგრძელება. უჩას ვაგარძელებინოს. ყველამ იცის, რომ უჩა მაგისია. ოღონდ დედაჩემისგან არა. ისე, კი ვიცი, რომ ხანდახან კაცური საქმეები უნდა ვაკეთო. მაგრამ დედაჩემთან მივდგომა მიყვარს ხოლმე უფრო, როცა სახლშია და ხანდახან მურაბას ადულებს ან რამე. დედაჩემმა მოთხრა, რა კაცის საქმეა მურაბის მოდულება. მიდი, მამაშენს მოეხმარე, მოაჯირები შედებე. შენი დაც მყოფინი. ვაყო უცებ – კაცის და ქალის საქმე და მე კიდევ, ისე მინდოდა მისი ფერადი ძაფებით სავსე კალათასთან მივმჯდარიყავი და რამე მომექსოვა. დედაჩემი როცა ქსოვს, მე მთბილა. მაგრამ ყოველ-

თვის, როცა მის ნივთებს ხელს ვკიდებ, დედაჩემი ამბობს, საქმეს მიხედე, გეგე. და საქმის ძებნას ვინყებ, მაგრამ ის საქმე საჩემო არ არის. გეგვს რომ დამიძახებს ხოლმე, ეგეც არ მომწონს. ქალებს უფრო ლამაზი სახელები ჰქვიათ. მე მარია მომწონს.

ეგ არ იზამს. ტყუპებმა თქვეს. ფუფლოა რა. ტრანსიანი. ირინამაც თქვა, დემნამაც გაიმეორა. არ წამოვა მაგაზე, შეეშვათ. რო ჩავვიშვას? ვინა, მაგან? საიდან მაგდენი გამბედაობა. ჩენით ვქნათ. ნების მოტანა ისაკაძეს დაავალეს. დიდ დასვენებაზე სკამი კარგად გაფლინეთ და ლუბას შემოსვლას დაელოდნენ. ლუბას ის ლურჯი კაბა ეცვა, სამშაბათობით რომ იცვამდა, როცა კერძო გაკვეთილები ჰქონდა მეორე სოფელში. ალექო ამბობდა, იქ ნაღდად ვილაც ყავსო, იქო. და ხორბოცებდნენ. ლუბას ილღიაში ჟურნალი ჰქონდა ამოჩრლი. თითებში ცარცს ატრიალებდა. მშვიდად დაჯდა. თავისი თამბაქოსფერი ბერეტი, ზამთარ-ზაფხულ რომ ეხურა, მაგიდაზე დადო და ჟურნალი გადაშალა.

აბესაძე!
ვარ, ლუბა მასწავლებელი!
ბათიაშვილი!
აქ ვარ.
დაძაბულები მისჩერებოდნენ სკამს და ლუბას უკანალს. ლუბა არ იმძრეოდა. სიის კითხვას განაგრძობდა. ქორიძე გეგვე. გააგრძელა ბოლოში. გეგვს თავი აწია და თვალებში შეხედა. ვარ, მასწავლებელი. უთხრა.
ლუბა ცოტა ხანს მიაშტერდა, მერე დაფისკენ შეტრიალდა და, ირინა, გამიმინდე. თქვა. და ადგომა დააპირა. მაგრამ ვერ ადგა. სკამიანად ნაბარბაცად და ლურჯი კაბა ჩამოეწეო. ლუბა განითლდა. რატომაც ისევ გეგვსკენ იყურებოდა. გეგვს კი, რა ლამაზია თქვენი კაბა, მასწავლებელი. უცებ წამოაყრანტალა. და აი, მამინ იყვირა. ყველანი წამოვივიდნენ და გარეთ გავარდნენ. მარტო გეგე იჯდა თავის ადგილას და ლუბას უსმენდა. ლუბა კი კიოდა.

მარია

მომწონს ჩემი ახალი სახელი. ჯერ არავინ მეძახის, მაგრამ მერე რა. პარასკევიც მიყვარს, როცა ესენი ღამის ბაზარში მიდიან. ვიცი, სად უდევს დედაჩემს აცეტონი და ფრჩხილების ლაქი. ორსაათიანი ზღენიერება. წავისმევ ხოლმე და თვალებთან ვიტრიალებ ხელს. მერე მეც ვტრიალებ სარკესთან. ჩემი დის შაბიანისფერი კაბაც მომწონს. ცოტა გრძელია, მე მოკლები მირჩვენია, და თეთრი გეტრები. ფეხები ლამაზი მაქვს. ცოტა დიდი ცხვირი მაქვს, მაგრამ მაგას ეშველება. შარფი ვითომ გრძელი თმაა. ვარდისფერი მექნებოდა. ეგრევე

ლიტერატურული კონკურსი

ვარდისფერი მექნება, როცა მექნება, თუ მექნება. ლიფის ალბის მეშინია. ვაითუ, ვერ გავიხსნა და შევიკრა დროულად. თან ჩემ დას დიდი ძუძუები აქვს და მე რა, ბრტყელი ვარ. მარია, მარია. ვბრუნავ, ვტრიალებ, ვიმეორებ ჩუმად. ვბრუნავ, ვტრიალებ. გონებაში დიდ, კრემიან ტორტებს ვერთავ და ვაფორმებ. კონდიტერი შემოიძლია გამოვიდე და თუ რამე, ამით ვირჩინო თავი. ხანდახან ჩემი დის ბიკინებსაც ვიცემდე. მაგრამ ჩემს ტრუსიკზე, ზემოდან. ისე – მრცხვენია. თან სულ იმ დღეზე ვფიქრობ, „ის“ რომ სახერხთან დავინახე. თითქოს ყველაფერს მიხვდა. მაგრამ მე არ ჩავჯექი, მაშინ შემეშინდა, თუ კიდევ მოვა, შეიძლება ნაყვე. აქ მაინც რალაცნაირად მიყურებენ. ალბათ, ხვდებიან. „იმან“ მითხრა. რა ლამაზი ხარ, გოგო. არადა, გეგეს შარვალი მეცვა. გეგეს ბოტასები. გეგე ვიყავი. „იმან“ კი, გოგო. მიცნო.

ლუბა

ამის გაკეთებული არ იქნებოდა, ზედ ენერა, მაგრამ ჯავრი მაინც გეგეზე ვიყარე. არავინ დაასახელა. ერთი გვარი არ ნამოსცდა, ვინ ქნა. შე გარყვნილო, ვუყვიროდი, შე ქათამო. შე უკულმართო. რაც პირზე მადგებოდა. მარტოები ვიყავით, მერე ფიზიკის მასწავლებელი შემოვიდა. გეგე ნამოხტა და გაიქცა. ემოციაც ვერ გამოხატა კაცურად, ეგრევე წირვლა დაიწყო. აბა, ალუკოს და დემნას ცრემლს ვერ გადმოვადებინებ და ეს კიდევ. კაბა მოისპო. იმ დღეს გაკვეთილიც ჩამივარდა. მაგას კი აღვადგენ, არა უშავს და ფულსაც გადამიხდია. კაბას რა ეშველება თორე. სულ სამი წესიერი კაბა მაქვს. უნდა დავსაჯო ესენი. 35 წელია ვასწავლი და ასეთი რამე არავის გაუბედავს. მაგრამ ამას არ ეშველება. რა დედამისს რომ დაველაპარაკო? გუშინაც, დავხედე, ხატავს რალაცას. ტორტებს ხატავს. ბიჭი და ტორტებს ხატავდეს და ზედ ასვამს ვარდებს და ბულბულებს. ნიკომაძე თქვა, უცხო მანქანებს უჩერდება სოფლის გზაზე. მოშორებით. დედამისს ხომ არ დაველაპარაკო. ეკლესიაში ნაიყვანს, ექიმთან ნაიყვანს. რამეს უმკურნალებს. აბა, ტორტები როდემდე უნდა ხატოს. მე მოვალე ვარ ვუთხრა. მაგას თუ უშველიან, ახლა უშველიან. თუ იმნაირად ჩამოყალიბდა, რაღა ეშველება. ნეტა, დედამისის თავში ჩამახედა. მამამისის მაინც მეშინია. სამსახური არ დამაკარგინოს. დედამისის ბრალი იქნება ისედაც. მაგას გამოეპარებოდა ეს ამბავი.

გეგე

ტელევიზორში ფილმი აჩვენეს. მამაჩემმა შუაში გამორთო. მოვასწარი დამენახა, სარკის წინ როგორ ირთებოდა მთავარი გმირი და გამაჟრჟოლა. ლამის პეპელა ერქვა ზედმეტსახელად. ჯერ პომადა წაისვა, მერე პარიკი დაიხურა. ტყავის ქვედაბოლოს რომ ირგებდა, გამორთო. გარყვნილები. თქვენი დედაც... და გამორთო. ჩემმა დამ სულელივით სიცილი დაიწყო. კაცი ქალის კაბას რატო იცვამდა? თან ცხრაჯერ იკითხა. დედაჩემმა ჯერ ნაუყრუა. მერე – ავადა, დეიკო, ეგ ბიჭი, უპასუხა. უჩა რას იტყოდა, არ ვიცი, საღამოობით არც მოდის ხოლმე. თავის ფარდულში რჩება, გარეთ. აქ მირჩენიაო. მე მგონი, დედაჩემი არ უშვებს ბოლომდე. იყავი, მაგრამ შენი ადგილი იცოდე. ერთხელ უთხრა.

ჩართე რა. თითქოს მე კი არა, ვილაც სხვამ მოითხოვა. მამაჩემმა თავი სწრაფად მოატრიალა ჩემკენ.

რამი გაინტერესებს? დაძაბული მომენტი იყო. ვუთხარი. მეტი ვერაფერი მოვიფიქრე.

დაძაბული მომენტი კი არა, გარყვნილებას აჩვენებენ ასე საქვეყნოდ. ხმას აუწნია, ჩემმა შეიღმა რომ ეს ქნას თავს მოვაჭრი.

ჩემი მოჭრილი თავი წარმოვიდგინე და ვაგჩერდი. მამაჩემი გავლენიანი კაცია. ასე ამბობენ. ჩემზეც აქვს გავლენა – ვაგჩერდი. ჯერ მე თვითონაც ვერ ვამიგია რა ხდება ჩემ თავს. იქნებ მართალია. უჩას რომ ვკითხო, მაგრამ დამცინებს ალბათ, მაგრამ რატომ მინდა ხოლმე ხელზე დედაჩემის სურნელოვანი ხელის კრემი შევიზილო. რატომ ვფიქრობ ამდენს „იმანზე“?

* * *

ლუბას ეჩქარებოდა. მოკლე გზით ნასვლა გადაწყვიტა. თუ დამატებით გაკვეთილებს არ ჩაატარებდა, თავისი ხელფასი არაფერზე ეყოფოდა. ვერც ფულს შეუგზავნიდა დათოს ციხეში. ეგ ერთი ჰყავდა. შვიდი წელია, რაც იჯდა. ამიტომ, კერძოდ დადიოდა. მოედანი გადაჭრა, საქარე ზოლს მიუახლოვდა და ის იყო, გზაზე უნდა დამდგარიყო რომ ავტობუსს დაელოდებოდა, ასანევადა გამზადებული ხელი გაუშვებდა – გეგე დაინახა. არა. ჯერ მანქანა დაინახა და მერე გეგე მანქანაში. მერე სხვაც დაინახა. ხელებით ლაპარაკობდნენ. მერე იმ სხვამ გეგეს სახე მიუახლოვა და ლუბა ხეს ამოეფარა. ათი წუთი უყურა, თან აინტერესებდა. ბოლომდე უყურა. მუბლი დაუსვლდა. მერე მიმართულედა შეცვალა და გეგეს სახლისკენ აიღო გეზი. უკვე მეორედ აცდენდა კერძო გაკვეთილს თავისი მიზეზით. გულში დააკონკრეტა – გეგეს მიზეზით.

მარია

ეზოში, გრძელ სკამზე ისხდნენ, როცა დავბრუნდი. ჯიბეში ნაჩუქარი სამაჯური მდო. „იმას“ უკვე ოთხჯერ შევხვდი. იცის, როგორ გამაგებინოს, რომ აქაა. ჩვენი ენა გვაქვს – უსიტყვო. ბაზრის დღეებში ბევრი მანქანა ირევა, ამიტომ შეხვედრა უფრო ადვილია. მთავარია, მე ვხედავდე, როგორ ჩერდება კონკრეტულ ადგილას ხუთი წუთით და მერე „იქ“ მიდის. მერე მეც მივდივარ. აქაური არ არის. დამპირდა, რომ ორ წელში თან წამიყვანს.

რამე მოხდა? სხვისი ხმა ამომივიდა ყელიდან. უკვე ვიცოდი, რომ იცოდნენ.

რა მოხდა კი არა. უცებ ნამოხტა მამაჩემი, მხრებში მწვდა

და მინაზე დამავლო. შე მართლა ნაბიჭვარო. ჭარხალივით ნითელი იყო. მახრჩობდა და ჭარხალზე ვფიქრობდი. მოკლავ ეგრე. მოკლავ. ეყოფა. ჩავკეტოთ ცოტა ხანი. მე დაველაპარაკები. დედაჩემიც უხეშად მოიშორა. აქამდე არასდროს გაუნეგია მასზე. მეზობლები გვიყურებენ, ხმა გადის, სირცხვილია. ხალხი რას იტყვის. ჩუმად უყვიროდა – მოგუდული ხმით. ნამომიყენა და ძალით შემეგდო ჩემს ოთახში.

გაგიჟდი? სულ გაგიჟდი? ეს როგორ გააკეთე? მთელი სოფლის დასანახად. თავში როგორ მოგივიდა? რაზე ფიქრობდი? ხვალ მამაოსთან წავიდე. არა, ხვალ კი არა, ჯერ აქ ეგდე. და მერე წავიდე. აქედან ფეხი არ გამოადგა. რა დავაკლებდი? მოკვდებოდა მამაშენი.

ხელით სამაჯურს ვანვალედი. ვინ დამინახა? ვფიქრობდი.

ლუბა

სკოლაში იმ ამბიდან მეზუთე დღეს მოვიდა. თავის ადგილას კი დაჯდა, მაგრამ მაგის გვერდით სკამი მაშინვე გათავისუფლდა. აღარავის მოუნდა მასთან დაჯდომა. აქ არაფერი დაიმალება. მე კი ვუთხარი დედამისს, რაც ვნახე, მაგრამ ანეტასთვის და სხვა ენაჭარტალებისთვის არ მითქვამს და საიდან გაიგეს, არ ვიცი. ალაგ-ალაგ ფხუკუნი დაიწყეს.

გეგეს გვერდით ადგილი რატომ არის ცარიელი? ვითომ სხვათაშორის ვკითხე.

მაგის გვერდზე რა მინდა. ჩაილაპარაკა აბესაძემ. სასტიკი ხმა ჰქონდა.

გეგე არავის უყურებდა. გაკვეთილების მერე დაველაპარაკები. ალბათ, ძალიან დასაჯეს, მაგრამ მოვალე ვიყავი, მეთქვა. გაკვეთილი ავხსენი. გეგე ისევ არავის უყურებდა. ზარი რომ დაირეკა, უკანა მერხიდან ორად გაკეცილი ფურცელი ესროლეს. ყველა მას მიჩერებოდა. გეგე კი არავის უყურებდა. ფურცელი არც გაუხსნია. არ უნახავს რა ენერა. ადგა და კლასიდან გავიდა. ხომ არ შეეცდი. გავიფიქრე. ბავშვები ხორხოცებდნენ. უცებ ჩემი დათვა გამახსენდა. სკოლაში რომ მიიძახეს, უკანონო. უკანონო. შემინებული რომ მოვარდა და მთხოვა ამეხსნა, რატომ ეძახდნენ ასე. მაშინ დირექტორი ჩავრეი და ვინ არ და მაგით დამთავრდა, მაგრამ მაინც მწარედ მახსოვს ეგ დღე. დათვა რომ გეგესნაირი ყოფილიყო? რას ვიზამდი? უარესი არ ქნა? კაცი მოკლა. გეყოფათ – უცებ ვიყვირე. აბესაძე! მომიტანე ის ფურცელი! დროზე! კარგი რა, მასწ. მერხიდან აიზღაზნა. ვერ ხედავთ, რა ქნა? უხალისოდ მომანოდა. „ქეთინო“ – ენერა. ხომ არ შეეცდი. ისევ გავიფიქრე.

გეგე

ქეთო მაინც იყოს ცოცხალი. ეს დამპალი ლუბა. უჩამ მითხრა, რომ ეგ იყო მოსული. ნითელთმინი ია რომ გადმოვიდა ჩვენს კლასში იმას ვერ იტანდა სამი თვე და მე როგორ ამიტანდა. სისხლს უშრობდა. სანამ იას დედა არ მოვიდა, ისიც თავისი შვილივით ჟღალთმინი და მაგიდაზე მუშტი არ დაურტყა, არ გაჩერდა. მაგრამ ჩემები ეგეთები არ არიან. მუშტს მე თუ დამარტყამენ. მაგრამ ლუბას მაგიდას არა. თითქოს მე მივსოდეს. თითქოს ჩემით გადავწყვიტე რამე. აღარ მივალ სკოლაში. არც ხვალ და არც მერე. 14 წლის გავხდები სამ დღეში და საერთოდაც გავიქცევი. სად, შე სცოდავო, სად? დედაჩემმა თქვა. წამომცდა და ვუთხარი. იცი, რომ არ გაცოცხლებენ? შენ გაქცევა კი არა, მკურნალობა გინდა! მკურნალობა არ მინდა, დედა. სიყვარული მინდა. ქეთო მინდა. მეზობლები უფრო ხშირად შემოდიოდნენ. ახლა გამოვიდა ყველას ფეცილი და მარილი და ზოგმა წყალი აავსო და ზოგმა შესასვენებლად შემოიარა. თვალს ჩემი ფანჯრებისკენ აპარებდნენ. სოფელი ფუთფუთებდა. ყველამ რომ იცოდა, ისეთი საიდუმლოს ქონით ღელავდა. ვიცოდი, ყველას პირზე ვეკერე. პირველად შემეშინდა ხალხის.

მარია

„ის“ მომენტატრა. ჯერჯერობით ერთადერთია, ვინც სინამდვილეში იცის ვინ ვარ და რა მინდა. არ გამოჩენილა. ხმა სოფელში უცებ გავარდებდა ხოლმე, ქვეწარმავალივით სწრაფად მიცოცავს. ალბათ, გაიგო, როცა აქედან წავალ, პირველ დღეს თეთრულის მალაზიაში შევალ და სალათისფერ ბიკინებს ვიყიდი. კიდევ, ვერცხლისფერი ტოპები მომწონს. ჭიპს რომ ოდნავ ფარავს. მზეზე ისე ბრწყინავს. თმას გავიზრდი და ცალ მხარეს ავიპარსავ. და მერე ვარდისფრად შევიღებავ. არავინ გეგეს აღარ დამიძახებს და საერთოდაც, ისეთ ადგილას, ნავალ, სადაც არავინ იქნება ნაცნობი. თუ დედას მოუნდება, ჩამოვალ ხოლმე და ვხახავ. მამაჩემს, ალბათ, არასოდეს მოუნდება. თუ ფული მოვავროვე, პატარა საკონდიტროს გავხსნი. მარია ერქმევა. საკონდიტრო „მარია“. კარგად ჟღერს მგონი.

* * *

ათამდე ადამიანი მიიწვედა გეგეს სახლისკენ. ასე პანაშუილებზე დადიან ხოლმე სოფელში. ვილაც ერთი წინ, გვირგვინით ხელში და დანარჩენები ჯგუფ-ჯგუფად. ეს უგვირგვინო ჯგუფი იყო. რალაც საერთო გადაწყვეტილებით მოდიოდნენ. მტიციც ხსახებით. წინ მამაო მოუძლოდა. ჭიშკართან შეჩერდნენ. დაიძახეს. ჯერ ხმადაბლა. მერე ისევ. ეზოს სკამზე ყველა ვერ დაეგია. სახლიდან გამოუტანეს. მამაოს სავარძელი მიართვეს. მან დაიწყო. გეგე ფარდის უკან იდგა. სიტყვები გაფანტულად ესმოდა. კი მამაო, დიახ, მამაო. ცვდილობთ, მამაო. გვინდა, მამაო. დაუძახეთ. გეგე, ძირს ჩამოდი. არ ჩამოვალ? ჩამოვართრე მე მაგის... ზოდიში, მამაო. ახლავე. მე ავალო. ააცილეს. მერე მამაოს ხელი გეგეს თავზე ედო და დიდხანს ბუტბუტებდა. გეგეს სიტყვები არ ესმოდა, მხოლოდ ხელს გრძნობდა და ზუზუნს ყურებში.

საკუთარი თავი გამოულოცა.

გეგე

აქედან უნდა გადავიდეთ, დედამ უთხრა. სირცხვილი და თავის მოჭრა იქნება აქ ცხოვრება. უნდა ავიყაროთ და გავყიდოთ ეს სახლიც და გადავიდეთ, კიდევ მოვლენ, უთხრა. შემდეგზე უფრო მეტნი იქნებიან. სკოლაშიც არ დადის. იმ დღეებში არც მამაჩემი გასულა სახლიდან. არც სხვა ვინმე. პირველად ხდებოდა, როცა ჭიშკარიც არ გაღებულა. ყველანი სახლში ვიყავით და ჩურჩულით ვლაპარაკობდით. უჩა თავს მარიდებდა. ჩემმა დამ გახუმრება სცადა და თავისი კაბა მომადო ტანზე. ვითომ მომზომო. უხეირო ხუმრობა იყო. არ გაგვეცინა. სუფრასთან არ დავინახო, მამაჩემმა თქვა. არავინ არაფერს მეკითხებოდა. ერთი კითხვაც არ დაუსვამთ. ბავშვია, დედაჩემმა უთხრა. გაუვლის. ბავშვია, ხომ არ უნდა მოეკლათ ამის გამო.

მოვკლავ. თქვა მამაჩემმა.

ლუბა

რამ ჩამართვევინა ის ფილმი. მაგრამ გამორთვით კი ველარ გამოვრთე. ანეტამ დარეკა, მოვალო. თავის ტკივილი მოვიმიზეზე. ხანდახან მარტო ყოფნაზე მეტად არაფერი მიყვარს. და ჩემთვის კინოს ყურება. თან, რაც დათო არ არის, მივეჩვიე კიდევ მარტო. ანეტა თუ მოვიდა დაჯდება და ლაპარაკობს, ლაპარაკობს. მე მალე ვიღლები და ეგ არასოდეს. ვიცი, ახლაც გეგეზე სალაპარაკოდ უნდა მოსვლა. დაიწყო. ეს ბიჭი, გმირი, ჩვეულებრივი ბიჭი იყო, სიგარეტს ეწეოდა, ჩხუბობდა, წვერიც კი ჰქონდა. მაგრამ ლამე სხვა ადამიანად იქცეოდა ხოლმე. ლამის პეპელას ეძახდნენ. მოკლედ, მსუბუქად იცეკვოდა. მაგრამ სანყალი კი იყო, ყველა მაგას სცემდა და ლანძღავდა. დედამისს ამ ამბავს უმალავდა, გაგიჟებდაო. დედამისი კიდევ გოგოებს ურჩევს, რძალი უნდა, შვილიშვილი უნდა. ბოლოს, ერთ ღამით კლავენ. და ისე ჩაცმულს მიუყვანენ დედამისს და ის იძახის, ეს ჩემი შვილი არ არისო. და სადღაც გარბის. ეგრე მთავრდება. თითქოს, არც არავინ მარხავს. თვალები დავისიე ტირილით. ისევ ვფიქრობდი, რამე ხომ არ შემეშალა, გეგეზე. ეგებ ამ დღეებში მოვიდეს სკოლაში და დაველაპარაკებ.

მარტო დავისვამ და ისე.

* * *

აბესაძე!
ვარ, ლუბა მასწ.
ბათიაშვილი!
აქ ვარ.
ყველამ შეატყო, რომ ლუბა გაკვეთილზე არ იყო. მექანიკურად კითხულობდა სიას.
გეგემდე მივიდა.
ქორიძე. თქვა.
ეგ დღესაც არ არის, მასწ.
მაგან აქ ფეხი როგორღა უნდა მოადგას, მასწ.
ფხუკუნი ატყდა.
ლუბამ ჟურნალი დახურა და კლასს შეხედა. ყველას ერთად.

20 წყვილი თვალი უყურებდა მოლოდინით. გეგე უნდა დავაბრუნოთ. უცებ თქვა. საშინლად მოვიქეცი. საშინლად მოვიქეცი.

საშინლად ის მოიქცა. რატომ იცავთ, მასწ. სიჩუმეში უცებ დემნას ხმა გაისმა. ხო, ის. მამაჩემმა თქვა, რომ ყველას ვაგვერყვინს. ირინა აყვა. ხო, თვითონ ბიჭია და გოგობა მოუნდა. თვითონა ეგეთი. თქვენ, მასწ. კარგად მოიქეცი, უარესის ღირსი იყო. აქ არ შემოვუშვებთ. წაეთრიოს. და ალუკო და ტყუპები და აბესაძე და ბათიაშვილი და ყველა ერთად აყყანდა. ლუბა ნამოხტა, თავის თამბაქოსფერ ბერეტს ხელი დასატაცა და კლასიდან გავარდა. არასოდეს, არავის უნახავს ის ასეთი. მტრალიც ერთხელ ნახეს, როცა შვილი ციხეში ჩასვეს. მიდიოდა და ლუბების მთელი ჯარი მიყვებოდა გვერდით. ყველა რალაცას ურჩევდა. ზოგი, ისევ ძველი ლუბას აზრზე იყო, ზოგი ნანობდა, ზოგს გეგეს სურვილების ამოხსნა სურდა. ერთი ლუბა მხოლოდ იმას ამბობდა, რომ მილიარდობით ადამიანში ყველა ისეთია, როგორც არის და იმ ლუბას ამ აზრამდე მისვლაში ალაგალაგ ნაკითხულ-გაცონილ-ნანახი ესმარებოდა. იყვნენ ისეთი ლუბებიც, რომლებსაც, უბრალოდ, სინდისი ქენჯნიდა და ძალიან უნდოდა თავის გადარჩენა, ვაითუ, გეგეც ლამის პეპელასავით მოკვდეს. ვიკითხე, რამე დაუშავონ. ასე თავისი ბევრი თავით გარშემორტყმულმა გაიარა გეგეს ქეთოს დარგული ზამბახებიანი გზა. ჩაუარა, როგორც ჩვეულებრივ ყვავილებს, მათი მელნისფერი სინათლე არ შეუნიშნავს და გეგეს სახლს მიადგა.

ფარდები ჩამოშვებული იყო. ჭიშკარი დაკეტილი. მაინც გადაიხედა ეზოში.

ლუბა, გეგეს ეძებ? ორი დღის წინ წავიდნენ. მეზობელი აესვეტა დაბარებულივით. არაფერი უკითხავს, თავისით აგრძელებდა მოყოლას. არ იცოდო? გეგე ნაიყვანეს სამკურნალოდ. სანყალი ბიჭი. რა არ უქნეს, რა არ უთხრეს, მამაო ხო მოუყვანეს. ერთი სიტყვა ველარ ამოათქმეინეს. მაგისთვის, ალბათ, ეგრე სჯობდა. სოფლისთვისაც, არა, ლუბა? არადა, რა კარგი ოჯახი იყო, რა კარგი და აგე, მეზობელმა ხელი გაიშვირა ჭიშკრისკენ.

ლუბას არაფერი უთქვამს, მხოლოდ მზერა გააყოლა მის გაშვებულ ხელს და ჭიშკარზე წითელი საღებავით მიწერილი „იყიდება“ გაარჩია.

მერე იქვე, ქვაზე ჩამოჯდა, თამბაქოსფერი ბერეტი კალთაში ჩაიღო და ატორდა.

კვლევა და ანალიზი

ლიტერატურული პერსონაჟები – ერის კოლორიტის მატარებელი

კვლევა: ირინა აბულაძე

სკოლა: სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ზედა სიმონეთის დავით კლდიაშვილის სახელობის საჯარო სკოლა

საბანი: ქართული ენა და ლიტერატურა

გაკვეთილის თემა: ლიტერატურული პერსონაჟები – ერის კოლორიტის მატარებელი

კლასი: XII

სასწავლო მიზანი:

- ანალიტიკური და კრიტიკული უნარის განვითარება;
- კონკრეტული ეპოქისათვის დამახასიათებელი თვისებების გააზრება პერსონაჟთა სახეებში;
- პერსონაჟების კოლორიტული სახეების გამოკვეთა.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

მხატვრული ტექსტის გაგება-თვითგამოხატვა:

ქართ. XII. 6. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტექსტში ასახული ფასეულობებისა და შეხედულებების ერთმანეთთან შედარება.


→ სოციოკულტურული კონტექსტის გავლენის აღქმა-გააზრება ლიტერატურულ ნაწარმოებებში

→ ლიტერატურულ ნაწარმოებებში მხატვრული აზროვნების ფორმების იდენტიფიცირება, შედარება, შეპირისპირება, დაკავშირება და ანალიზი

ქართ. XII. 7. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს კულტურული, სოციალური და ისტორიული ფასეულობების გავლენა ტექსტსა და მის ინტერპრეტაციაზე.

→ სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურულ ტექსტებში ასახულ კულტურულ ფასეულობათა გააზრება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა

მედიანობის მიზნები: მედიანობის მიზნების საშუალებით მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟთა ხასიათის გამოკვეთა; პიროვნულ თვისებათა განზოგადება; ეპოქის აღქმა; ავტორების დამოკიდებულებების განხილვა და ანალიზი.



აქტივობა 2 – მინი-ესე „რას ნიშნავს ჩემთვის ქართველობა?“ (5წთ)

აქტივობა 3 – მინი-პრეზენტაცია ინდივიდუალურად (10წთ)

აქტივობა 4 – კოლორიტი კულტურაში, მეცნიერებასა და ხელოვნებაში

→ ხშირად „ქალაქის კოლორიტს“ უწოდებენ პიროვნებას, რომლის შეხედულებებიც, ამა თუ იმ პრობლემაზე, კარდინალურად განსხვავდება საზოგადოებაში არსებული სტანდარტებისგან. საკუთარი აზრის განმტკიცებაში მსგავსი პიროვნებები ავლენენ სიჯიუტეს, ყურადღებას არ აქცევენ საზოგადოებრივ აზრს და ქცევის დანერგულ ნორმებს. არც თუ იშვიათად, მსგავსი პიროვნებების მიერ გამოთქმულმა შეხედულებებმა და აზრებმა შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული გარღვევა საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში.

აქტივობა 5 (15 წთ) – ამტყვევებელი ლიტერატურული პერსონაჟები (ვიდეორგოლი ნინა-ასნარ დამზადებულია მასწავლებლის მიერ) - <https://youtu.be/6G38U8MJaDo>

(ან როლური თამაში – იგულისხმება მოსწავლეების მიერ შესრულებული როლები, მინი-ინსცენირება – განხილული პერსონაჟების გაცოცხლება შერჩეული ტექსტებით, პერსონაჟთა შეხედულებების გამოჩენა დაეხმარება მოსწავლეებს ეპოქის უფრო ცხადად აღქმაში)

აქტივობა 6 – ჯგუფური მუშაობა (20 წთ)

წარმოდგენილი ეპიზოდების (ან როლური თამაშის) მიხედვით შეავსეთ სქემა

→ პირველი ჯგუფი – ტექსტი ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანიდან?“

პერსონაჟი (ეპოქა)	წარმომავლობა, სოციალური მდგომარეობა	კოლორიტულობა (რით არის კოლორიტი? დაურთეთ ციტატები)

ილია ჭავჭავაძე
კაცია-ადამიანი?
1858წ.

ილია: „მოგონებაში ქართველ კაცს პირველი ევროპელი მეჭორეც არა სჯობია.“

ლუარსაბი:

– კაცი ძირგავარდნილი ქვევრია, რომელსაც დღე-ყოველ უნდა ჩააყარო ხორავი და ჩაასხა სასმელი, მაგრამ კიდევ მაინც ვერ აავსებ...
– დრო გამოიცვალა. რაც ეს რაღაც ეშმაკური სკოლები შემოიღეს, ბატონო, ქართველი კაცის ხეირი მაშინ ნავიდა. ფერი კი აღარ შერჩათ ჩვენს შვილებსა და!... ჭამით ისინი ვერა სჭამენ, სმით ისინი ველარა სმენ, რა კაცები არიან?! წიგნი იციან! მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი აღარა ვარ, ქუდი არა მხურავს, განა! ხორცი მე არ მაკლია და ფერი. წიგნი რა ვაჟკაცის ხელობაა, – ეგ ხომ ქალის საქმეა. ვენაცვალე უწინდელ დროს! ყველაფერი მაშინ თავის დონეზედ იყო მოყვანილი, ყველა თავის ქერქში იყო. ვენაცვალე!... კაი ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი და კაცი იყავ პატიოსანი.

დარეჯანი:
– როგორ თუ სად შენი ჭირი? ოჯახობაა, სახლია, კარია, თვალყურის ჭერა უნდა, შენ გენაცვალოს ჩემი თავი – მაშ? ესე უნდა თვალგაფაციცებული დასტრიალებდე მოსამსახურესა, თორემ ჭამის მეტს არას გააკეთებს, ბიჭებს მოვლა უნდა. ბევრმა არ იცის როგორ მოეპყრას. ხან-დახან ტყუილ-უბრალოდაც უნდა დასტუქსო რომ გამოლანძო კიდევ, ცუდი არ იქნება, აი, მე გავლანძოვ კიდევ, გაუფაჯვრდები, დავტუქსავ, დავწყევლი, – სულ რისთვის? იმისთვის, რომ შიში და კრძალვა ჰქონდეს, თორემ შენი მტერი!...

– ეს გლეხები არიან: გაქირ ვირსავით თუ ერთხელ შედგა, მერე, თუნდა შეინდის სახრით მის-დგე, ფეხს ვერ გადაადგმევენებ, თუ ადრევე დატუქსული არა გყავს.

– მეც განა მაგაზედ მაგახსენე! მე მარტო ეს უნდა მეთქო, რომ ჩემს ლუარსაბს ჯერ ისე არა გასჭირვებია-რა რომ გლეხობა ჩაიდინოს. განა არ ვიცი, რომ სხვებსავით ხელებს არ დაიბებრებს ნამგლის ჭერითა და არც ამ პაპანაქებაში დაისიცხება/ განა არ ვიცი, ნამდვილის სისხლის თავადიშვილი ამას ვერ აიტანს, – და, სწორედაც მოგახსენოს, არც საკადრისია თავადს – თავადობა უნდა ეტყობოდეს და გლეხს – გლეხობა. არა და, რომ არ იქნება: მთა და ბარი ვის გაუსწორებია?

ლუარსაბი:
– ვენაცვალე კახეთსა! – ვენაცვალე! ეგ რო არ ყოფილიყო, არც კახური იქნებოდა, მაშინ მე რაღა კაცი ვიქნებოდი? ჩემს გათქმულ სახელსა მაშინ ვინღა მოიგონებდა? დღეს თუ ლუარსაბის სახელი ისხენება სადმე, ღვინის მადლობელი უნდა ვიყო. თუ კაცი ვარ მე დღეს, აი, ამ შავი ყურძნის წვენითა ვარ კაცი! ჩემოდენას საქართველოში ორიც არ და-ღევეს, დიდი მსმელი ვარ. მე რომ სიმღერა ვიცოდე, მთელის კახეთის ღვინო არ მომერევა. ეს არის რომ არ ვიცი და! სიმღერა ღვინოს ანელებინებს და! თორემ სხვაფრივ რა მიჭირს. ფაშვი კაი მსმელისა მაქვს, აქ თუნდა ოთხი ჩაფი ღვინო ჩაეტევა. მახსოვს ის იმერელი. აი რომ მოვიდა, დადიანის „პოვერნია“ ვარო.../ „პოვერნია“ კი არა, – შენც არ მამიკვედე – ის ძალად გამოგზავნეს იმერლებმა: აბა, წადიო, კახეთში ერთი დევი კაცი არისო, ლუარსაბ თათქარიძე, ოღონდ ის კი დაგვიტოვო და ნახევარ იმერეთს შენ მოგცემთო. ეხლა იმან მე რომ დამინახა, მაშინვე მიხვდა, რა კაციცა ვარ, იმიტომ „პოვერნობა დაირქვა, სახელი არ ნამიხდესო. კვეხნაში კი ნუ ჩამომართმე და ჩემი სახელი სათათრემდინ არის გავარდნილი, იმერეთშიც მისულა ჩემი ქება. მაგრამ აი, ამ შენმა უხეირო ლუარსაბმა ასე გაგვიხადე ის ფიქიანი იმერელი, რომ, რომ... სულ ჩემი მზე ვაფიცებინე. თითონვე თავისი პირით მითხრა: ბაყბაყ-დევი ხარო. თითიც მომიკაკვა და ყურშიც ჩუმად ჩამჭურჩულა: სანაძლეო მოიგეო, ნახევარი იმერეთი შენი უნდა იყოსო. რომ მეჩვილა, რასაკვირველია, იმ ნახევარს გამოვიტანდი, მაგრამ ჩემი მამა-პაპის მამულებიც მაშინ ისე ოხრავდა გვრჩებოდა და იმერეთი რაღად მინდოდა?

...ეხლა იმ იმერელს, რომ ვაჯობე, იცი, რა ვუთხარი? წადი-მეთქი, სადაც შენი სთქვა, იქ ჩვენიცა სთქვი-მეთქი, და იმერლებსაც უთხარი, რომ, რაც თქვენ კრიკინას წვენი გამოუვა, ერთ ყლუბად არ მეყოფა-თქო, და „ყლუბი“ კი კიდევ თქვენზედ დარჩება-თქო. აი, ამისთანა კაცები ვართ კახეთში-მეთქი. მაშ!... თუ ღმერთი გნამს – კარგად არ მითქვამს?

→ მე-2 ჯგუფი – ტექსტი გაუა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურიდან“

ვაჟა-ფშაველა ალუდა ქეთელაური 1888წ.

ალუდა – ბებერ უშიშას:
– აქით ნასულმა კვალი შევაჭერ მთისასა. ორნ იყვენ, თოფი ვიხმარე წვერს ვერ ვუნვდენდი ხმლისასა.

– მით ვაქებ ვაჟკაცობასა არ იყიდება ფულადა. სამ მე ვესროლე, სამ – იმან, მესამით დავასრულია. მკერდზე ნაკრავმა ტყვიამა გაუნადოდა გულია.

– ჩვენ ვიტყვით კაცნი ჩვენა ვართ, მარტო ჩვენ გვზდიან დედანი, ჩვენა ვცხონდებით, ურჯულთ კუპრში მივლის ქშენანი... ვერ გავიმეტე მუცალი მარჯვენის მოსაჭრელადა, [გული] გამინყრა, არა ჰქმნა, რაც საქნელია ძნელადა.

– მტერს მოვკლავ, კიდევ არ მოვსჭრი მარჯვენას მაგათ ჯიბრითა! „ნესი არ არის მტრის მოკვლა, თუ ხელ არ მასჭერ დანითა“ – ვაი გვეთას სამართალს, მონათლულს ცოდვა-ბრალითა!

ალუდას ცოლი ლელა:
– კარგს ნურას ჰნახავთ, ხევსურნო! ავაჟმე, ჩვენო სახ-კარო, ქვა-ქვაზე აღარ დგებო, ციხეზე ჭერხოს ბოძებზე ეხლა ყოველი სხდებო!

ალუდა:
– [დაიცო] ნუ ხარ ყბედადა! მოდი მომყევი ვიდინოთ ღმერთმ ეს გვარგუნა ბედადა. ჯვარ არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევთ ნუ გადიქვევით ცეტადა! მშვიდობით, ჩემო სახკარო გულში ამღლელო ბრალისა!

→ მე-3 ჯგუფი – ტექსტი დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალიდან“

დავით კლდიაშვილი სამანიშვილის დედინაცვალი 1896წ.

პლატონი:
– ამაზედაც გმადლობ, უფალო! ამაზედაც გმადლობ, უფალო!

– ცუდი დრო მოვიდა, ბატონო, ერთობ ცუდი დრო! ხალხიც მომრავლდა... ჩხუბით თუ გაინმინდება ცოტაზე მაინც ქვეყანა, თვარა... მაგრამ ეგ თქვენ უკეთ მოგესხენებოთ, რასაკვირველია!

არისტო ქვაშავიძე (ოცდაშვიდი-ოცდარვა წლისა) – პლატონს:
– აზნაური არისტო ქვაშავიძე გახლავარ... იმედი მაქვს ახლოს რომ გავიცნობთ ერთმანეთს, ცუდ კაცად არ დამსახავთ. ამას თამამად ვიტყვი სწორედ!... კეთილშობილი კაცი ყოველთვის კეთილშობილი კაცისგან უნდა იცნობებოდეს. კაი დაგემართოს! ბედნიერი კაცი შენ ყოფილხარ!... ახლა დედინაცვალს ეძებ ორნაქმარებს, უშვილოს, იმიტომ რომ გეშინია, მამულში მო-



კვლევა დასახარებად

ზიარე არ გაგიჩნდეს, - ეგ ადვილი მისახვედრია და, თუ ჩემს პატიოსნებაში ეჭვი არ შეგაქვს სანდო კაცად მიყურებო... მე მიგასწავლით სწორედ იმისთანა ქალს, რომელიც ნამდვილად სათქვენოა, გამოტყეხილი გითხრა, ხლაფორთი ბევრი დამჭირდება, ქალი რომ დევიყოლიო, მარა კარგი კაცის გულისთვის კაცი რას არ იზამს...
- ერთი ჩვენც წავდვით თავი და მერე გავსწავლოთ (ქვედურეთში)

პლატონი და არისტო:
- მივანიტ ღვთის მადლით! აქ გახლავართ. მე შენ გეტყვი ხმას ვერ გააწვდენ თავიდან ბოლომდის, იმხელა გაშლილი ეზო აქვთ ამ შეჩვენებულებს... ჩაბარდნენ პატრონს, თუ რა დაემართათ, რომ არავინ ჩანს - პლატონი სამანიშვილი გახლავთ!
სერაპიონ ბრეგაძე

პლატონი:
- ჩანს ღმერთი მწყალობს

არისტო:
- ერთ წამში მოვაკვარაჩქინე საქმე, ერთ წამში. ეს ოხრისშვილები, თავი ნუ მომიკვდება, ახლა დასდევნე ვახშმისთვის ქათამს! სად იყვნენ აქამდის?! ვაი თქვენს პატრონს! პლატონი სანამ ესენი ქათამს იჭერენ, ერთი ცხენებს დავხედავ ჩუმად, თვარა, მე დარწმუნებული ვარ, ერთ კენიტ ჩალას არ აღირსებენ და ხვალ შენი მტერი იქნა ისე, ესენი რომ იქნებიან!

...რამდენიმე თვის შემდეგ...
- ბიჭო რა მიქენი? რა მიქენი შენი ოჯახი დაიქცა... მაინც ქეა დაქცეული!... რა დავიშავე, შე უსინდისო! ბიჭო რაზე დავჭირდა ჩემი დალუპვა შე უღმერთო, რაზე შემომაჩეჩე ეს სასიკვდილე მამიდაშენი?
ვილუპები, არისტო, წმინდად ვილუპები! რითი ვარჩინო ცოლ-შვილი, რითი ვარჩინო? რავა უდანოდ გამომჭრა ყელი მამაჩემმა... რა გქნა, რა მეშველება? რა მეშველება?

არისტო:
- გული გაიმაგრე... გული გაიმაგრე, პლატონ, ღმერთი მონყალე! ყველაფერი ღვთისათა!

→ მე-4 ჯგუფი - ტექსტი მიხილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებიდან“

მიხილ ჯავახიშვილი ჯაყოს ხიზნები 1924წ.

თეიმურაზი:
- მოვ...ვისაზროთ... გ...გამოვარკვიოთ... მოვ...ვეფიქროთ... რა არს ცხოვრება ესე?
ივანე - ნახუცარს:
- გადაჰხედეთ, დღევანდელ ქართლს. უწინდელ ქართლისა მეთხედვიც აღარ არის. მას ჩამოეცალნენ სამცხე და საათაბაგო, არტაანი, ჯავახეთი, ტაშირი, მ...მცირე სომხეთი, აბოცი, ბამბაკი, ბორჩალო, ყაზახი და ტფილისის მიდამოები. ეხლა ყველანი ცალ-ცალკე სცხოვრობენ.
- ისტორიამ დაანგრია ძველი ქართლი.
- იქით გაიხედე, ივანე. - ხმის კანკალით სთქვა თეიმურაზმა დუმისის შემდეგ და თითი დასავლეთისკენ გაიშვირა. - გაიხედე, რა მ...მშვენიერია არის შემოსილი დასავლეთი. - მერმე ღრმად ამოიხრა და თითქო თავისთვის ნაიბუტბუტა: - ყოველივე დასავლეთიდან მოდის: სიმდიდრე, გ...გვანათლება, ზნეობა. თ...თავისუფლება და მშვიდ... დობა.
- ჰო, მეც მაგას ვამბობ. ვინ არ გადმოიარა იმის ზურგზე! საწყალი, მთელი ქვეყნისთვის შარავზად გადაიქცა. როცა ქართლი ძლიერი იყო, ს...საქართველოც ძლიერი იყო. ქართლი დაეცა და საქართველოც დასუსტდა.
- ეგეც მესმის, მაგრამ ისიც ვიცი, რომ სიყვარული აი ამ ტომარას ჰგავს: თუ შიგ ჩაჰყარე რამე, ტომარა ზეზე დადგება, თუ არა და - ნაიქცევა. მე არ მესმის ც... ცცაღფეხა და ც... ცცაღხელა სიყვარული. ცოცხალ ადამიანს მარჯვენა ხელ-ფეხს სჭირან და ასე ანუგეშებენ: სამაგიეროდ მ...მმარცხენა ხელ-ფეხი გაგეზრდებაო.
- ქართველ ერსა და ქართულ კულტურაზე ვლაპარაკობდით. - საიდან და როგორ უნდა შექმნილიყო ერთიანი ქართველი ერი და კულტურა?! ორი ათასი წელიწადი მაინც იქნება, რაც ამერეთ-იმერეთი ერთ ნაჭერ მიწაზე ვსცხოვრობთ. ერთად კი, ერთიან სახელმწიფოებრივ და ეროვნულ შენობაში ორასი წელიწადიც არ გვიცხოვრნია. ერთმანეთს ჭირიანებით გავურბოდით და ისე ვერიდებოდით, თითქო სხვადასხვა ტომისა და სისხლისანი ვყოფილიყავით. მუდმივ ცალ-ცალკე ვილუპებოდით და ცალ-ცალკე ვმენდებოდით. საქართველო ყოველთვის ორპირი ან სამპირი იყო. ერთი რომ აღმოსავლეთისკენ ჰქონდა მიღრეცილი, მეორე დასავლეთისკენ იხედებოდა, მესამე კი ან სამხრეთისკენ ჰქონდა მიბრუნებული, ან ჩრდილოეთისკენ. ეროვნული ნებისყოფაც და ენერგიაც ასე დაგვეფანტა.
- მამ ცხადია, რომ ქართველი ხალხი საშინელ ძალას ატანს და ამახინჯებს თავის თავს. ერთი გამაგებინე, როგორ მოხდა ასეთი უცნაური სასწაული: ზნე-ჩვეულებით, სულითა და სისხლით არისტოკრატმა ქართველმა როგორ მოახერხა დამყარება უდემოკრატიულეს რესპუბლიკისა? ხომ გახსოვს, რამდენიმე წლის წინათ მთელი ქვეყანა რომ შევსძარით რიხიან ყვირილით და ბაქიობით: მოდიო, გვენახეთ და ჩვენგან ისწავლეთ ნამდვილი დ...დემოკრატიული რესპუბლიკის აშენება და ნამდვილი ხალხოსნური წესრიგო?! შუა აზიამი მეორე შევიცარისის შექმნა განვიზრახეთ. ხა-ხა! სასაცილოა. მაგრამ სატირალიც არის ეს ამბავი, ჩემო ივანე. იგი ცხადად ამტიცებებს ჩვენს ფლიდურს, ორპირსა და ორგულ ბუნებას. ეს იყო ყირამალა დგომა და საკუთარ ქერქიდან ამოხტომა. ჩვენ ჩვენს თავსაც ვატყუებდით და ქ...ქვეყანასაც. ესეც ჩვენი კულტურული-აზნაურული მაიმუნობა გახლავთ. ბოლოს-და-ბოლოს, საქ...ქართველოს ეს მაიმუნობა დაჰლუპავს, თუ დროზე არ ვუშველით ჩვენს თავს. ნამბაძველოვის ნიჭი, ჩემო ივანე, უუდიდესი საჩუქარია, მაგრამ ღმერთმა გადააჭარბა: ჭკუა დაგვაკლო და ნამბაძვის ნიჭი ნაჭ...ჭარბებდა მოგვცა. ჩვენც ამიტომ დავემსგავსეთ მაიმუნს. სადაც არ გვეყოფნის საკუთარი ჭკუა, მხნეობა, გამძლეობა და ნებისყოფა, იქ უცხოელთა ნამბაძვით ვლამობთ ფონის გასვლას და ლელოს გატანას. უწინაც ეგრე იყო. ისტორიაში განმეორების მეტი არაფერია. დღევანდელი დღე წარსულის მეთაე თუ მესაე შენიშვნა - არც მეტი, არც ნაკლები.
- ჰო, შრომა, ისევე შრომა და შრომა! შრომა ახალი დროის ახალი სარწმუნოებაა, ახალი რელიგია, ქრისტიანობაზე უფრო მძლავრი, უფრო საჭირო და სასარგებლო. ვინც ეს გაიგო და მას ხორცი შეასხა, გამარჯვებულია. ვინც ვერ მოერია, - დალუპულია. ჩვენთვის კი შრომა მხოლოდ უუმძიმესი ტვირთია, ღვთის წყევლაა. აი, თურმე სად ყოფილა ჩამარხული დ...დადლის თავი! აი, თურმე რა გვეკლებია. - შრომა და ნების-ყოფა, ესე იგი კულტურა! ჩვენს მამა-პაპებსაც სძულდათ ფულიანი ხალხი. მეცხრამეტე საუკუნის მწერლობაც ასეთი ზიზლით და შხამით არის სავსე. გაიხსენე, როგორ გაამასხარეს ვაჭარი გიორგი ერისთავმა, ცვაგრელმა, ანტონოვმა და ასმა სხვა მწერალმა. გინდა გაიგო ღრმა მიზეზი ასეთი სიძულვილისა? ინებე: ადამიანს სძულს ყოველივე, რაც არ ეხერხება და არ ძალუძს, ესე იგი, მას ეზიზნება საკუთარი თავის უძლეულება, უმწეობა და ჩამორჩენა! მორჩა და გათავდა! ამიტომ მოხდა, რომ ფულიანების მახვილს ჩვენ დავუპირდაპირეთ ჩვენი აზნაურული ფარი, - დენდობა და რაინდობა, ესე იგი ფუქსავატი ცხოვრება, მფლანგველობა, ყოყოჩობა, კულდაბიკობა, ნებამოძლილ ადამიანის უძლეური ამპარტავნება და ლატაკის ჭქეა-ქუხილი.
- ნუ გამახსენებ ქართველ ინტელიგენტს, ნუ! - თუ რამ ავი დავგვემართა, ისევე ინტელიგენციის წყალობით გვერგო. თეგზო თავიდან აყროვლებო, - ასე დავგვემართა ჩვენც. ვისაც მეტი ერგო, მეტიც მოეთხოვება. ჩვენ სათავეში მოვექცით ხალხს. ლხინში წინ მივუძღოდით, ჭირში კი უძღმი ძლივს მივდევდით.
- ღმერთმა თავიდანვე სასტიკად დამსაჯა მეთქი, როცა ქარ...რთველად გამაჩინა.

სქიმა (სამბარაულო პასუხებით)		
პერსონაჟი (ეპოქა)	წარმომავლობა, სოციალური მდგომარეობა	კოლორიტულობა (რით არის კოლორიტი? დაურთეთ ციტატები)
ლუარსაბ თათქარიძე	ქართველი - კახელი თავადი, ზარმაცი, გაუნათლებელი...	<ul style="list-style-type: none"> • შეხედულება განათლებაზე • მე თუ წიგნი არ ვიცი კაცი აღარ ვარ • თუ კაცი ვარ... შავი ყურძნის წვენითა ვარ კაცი • ჯიბრი იმერელთან საკუთარი ღირსებების წარმოსაჩენად
დარეჯან გძელაძე	ქართველი - კახელი თავადი	<ul style="list-style-type: none"> • მორალი: თავადს თავადობა უნდა ეტყობოდეს, გლეხს-გლეხობა • თავისებური პოლიტიკა: გლეხები ტყუილ-უბრალოდ უნდა დატუქსო
ალუდა ქეთელაური	ქართველი - ხევსური, ვაჟკაცი, კარგი მებრძოლი...	<ul style="list-style-type: none"> • ტრადიციების უარყოფი • „წესი არ არის მტრის მოკვლა, თუ ხელ არ მასჭერ დანითა“ • „ვინ ეგეთსა სამართალს მონათლულს ცოდვბრალითა“ • მორწმუნეა: „ჯვარ არ ვაწყნოთ თემს ნუ სწყევთ“ ...
პლატონ სამანიშვილი	ქართველი - იმერელი, ლარიბი აზნაური	<ul style="list-style-type: none"> • ბედს მინდობილი, მცირედითაც კმაყოფილი: „ამა-ზედაც გამდობ უფალო“... • წინდახედული. მეგვიდრობის მომფრთხილებელი • ეპოქის მოშიში: „ცუდი დრო მოვიდა... ჩხუბით თუ გაინმინდება ცოტაზე მაინც ქვეყანა“ ... •
არისტო ქვაშავიძე	ქართველი - იმერელი აზნაური	<ul style="list-style-type: none"> • გონიერი • მოხერხებული • ენაწყლიანი: „კარგი კაცის გულისათვის კაცი რას არ იზამს“ •
თეიმურაზ ხევისთავი	ქართველი ინტელიგენტი, განათლებული ნათავადარი	<ul style="list-style-type: none"> • წარსულს მისტირის - „ისტორიამ დაანგრია ძველი ქართლი“ • დასავლეთისკენ ლტოლვა - ყველაფერი დასავლეთიდან მოდის (ევროპეიზაცია). • რეალობის მტიკინეული განცდა - საქართველო ყოველთვის ორპირი ან სამპირი იყო. ერთი რომ აღმოსავლეთისკენ ჰქონდა მიღრეცილი, მეორე დასავლეთისკენ იხედებოდა, მესამე კი ან სამხრეთისკენ ჰქონდა მიბრუნებული, ან ჩრდილოეთისკენ. ეროვნული ნებისყოფაც და ენერგიაც ასე დაგვეფანტა. • პოლიტიკოსი თეიმურაზი: „საქ... ქართველოს ეს მაიმუნობა დაჰლუპავს, თუ დროზე არ ვუშველით ჩვენს თავს. ნამბაძველობის ნიჭი, ჩემო ივანე, უუდიდესი საჩუქარია, მაგრამ ღმერთმა გადააჭარბა: ჭკუა დაგვაკლო და ნამბაძვის ნიჭი ნაჭ...ჭარბებდა მოგვცა. ჩვენც ამიტომ დავემსგავსეთ მაიმუნს. სადაც არ გვეყოფნის საკუთარი ჭკუა, მხნეობა, გამძლეობა და ნებისყოფა, იქ უცხოელთა ნამბაძვით ვლამობთ ფონის გასვლას და ლელოს გატანას. უწინაც ეგრე იყო. ისტორიაში განმეორების მეტი არაფერია. დღევანდელი დღე წარსულის მეთაე თუ მესაე შენიშვნა - არც მეტი, არც ნაკლები.“ • შრომა, ისევე შრომა და შრომა! შრომა ახალი დროის ახალი სარწმუნოებაა. • სასწარვეთილი ინტელიგენცია - „ღმერთმა თავიდანვე სასტიკად დამსაჯა მეთქი, როცა ქარ...რთველად გამაჩინა.“ •

აბტიმობა 7 - სქემის პრეზენტაცია (5წთ)
აბტიმობა 8 - დისკუსია - ეპოქა და ადამიანი (10წთ)
აბტიმობა 9 - ენის მარგალიტები (ჯგუფური მუშაობა)
 ამოინერეთ მოცემული ტექსტიდან სალიტერატურო ენის ნორმისგან განსხვავებული ფორმები, იმსჯელეთ რა შემთხვევასთან გვაქვს საქმე (5წთ)
 საგარაუდო პასუხები:
ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი“!: „სმით ისინი ველარა სმენ“; „მე მარტო ეს უნდა მეთქო“; „ისე არა გასჭირვებია-რა“; „ჩემს გათქმულ სახელსა მაშინ ვინლა მოიგონებდა?“; „შენც არ მამიკვდე“; „თითონვე თავის პირით მოთხრა“; „რაც თქვენ კრიკინას წვენი გამოუვა“; **ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაური“**: „შავაჭერ“; „გაუნაძოძა გულია“; „გვზდიან დედანი“; „მასჭერ“; „ყოფები“; „სახ-კარო“; **დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი**: „გამოტყეხილი გითხრა“; „ხლაფორთი ბევრი დამჭირდება“; „წავდვით თავი“; „ჩაბარდნენ პატრონს“; „მღვაკვარაჩქინე საქმე“; „ერთ კვნიტ ჩალას არ აღირსებენ“; „მაინც ქეა დაქცეული“; **მიხილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები**: „გაპყარე“; „ვსცხოვრობთ“; „გვიცხოვრნია“; „შევიძარით“; „ბოლოს-და-ბოლოს“; „დაჰლუპავს“.
აბტიმობა 10 - მინი-პრეზენტაცია - ენით გაცოცხლებული წარსული (მოსწავლეები იმსჯელებენ დიალექტურ, არქაულ, ჟარგონულ ფორმებზე)
საშინაო დავალება - ანალიტიკური ესე „ქართული კოლორიტი“
შეფასების ფორმა - განმავითარებელი
 → შეფასდება ანალიტიკური, კრიტიკული და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.
რესურსები: სახელმძღვანელო ტექსტები; ფორმატის ფურცლები; მარკერები; კომპიუტერი/პროექტორი; კალმები; რვეულები.
 1) https://www.google.ge/search?q=javos++xi:nebi&source=lnms&tbn=isch&sa=X&ved=0ahUK_Ewia_6C38czWAhXqHpoKHRUCN0O_AUICigB&biw=1024&bih=715
 2) https://www.google.ge/search?biw=1024&bih=715&tbn=isch&sa=1&q=kacia+adamiani&oq=kacia+adamiani&gs_l=psyab..0i24k114.74037.77435.0.77696.14.14.0.0.0.274.1854.0j4j5.9.0.dummy_maps_web_fallback...0...1.1.64.psy-ab..5.9.1852...0.0.RmsOCVHOPnO
 3) https://www.google.ge/search?biw=1024&bih=715&tbn=isch&sa=1&q=samaniSvilis+dedinacvali&oq=samaniSvilis+dedinacvali&gs_l=psyab.12..0i13k1.38330.45287.0.47727.24.23.0.0.0.480.3731.0j3j7j3j1.14.0.dummy_maps_web_fallback...0...1.1.64.psy-ab..10.12.3209...0j0i10k1.0.KVRANLnk34U
 4) <https://www.google.ge/search?q=%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%90+%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98&rlz>

მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი

ფესტივალი ბრძელდება

მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი წელს მესამედ იმართება და მისი მასშტაბი და შინაარსი, ყოველწლიურად, უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი ხდება. ფესტივალის ფარგლებში იმართება: კონფერენციები, პრეზენტაციები, გამოფენები, სამეცნიერო-პოპულარული ლექცია-სემინარები, საჯარო ლექციები, ტრენინგები, ვორკ-შოპები, ღია კარის დღეები, სახალისო მეცნიერება სკოლის მოსწავლეებისათვის, უახლესი სამეცნიერო გამოგონებები და პროექტების პრეზენტაციები, გასვლითი ღონისძიებები და სხვ. დაგეგმილია იმ დიდი ქართველი მეცნიერების გახსენება, რომელთა იუბილეც წელს აღინიშნება. ქართული და მსოფლიო მეცნიერების უახლესი მიღწევების გაცნობა ახალგაზრდა თაობას მეცნიერების მიმართ ინტერესს გაუღვივებს.

ფესტივალის მიზანია, ერთი მხრივ, ქვეყნის სამეცნიერო და ინოვაციური პოტენციალის წარმოჩენა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება, მეორე მხრივ, სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების პოპულარიზაცია, მეცნიერებაში ინოვაციური მიდგომების წახალისება და დანერგვა, მკვლევართა მოტივაციის გაზრდა, ახალგაზრდების, სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეების დაინტერესება სამეცნიერო კვლევებითა და ინოვაციებით. ფესტივალი ხელს შეუწყობს ფართო საზოგადოებისათვის ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიღწევების გაცნობას, ამასთან, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროების დაახლოებას.

წინა წლებისგან განსხვავებით მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი წელს საქართველოს ყველა დიდ ქალაქში ტარდება. ფესტივალი 24 სექტემბერს დაიწყო და 8 ოქტომბერს დასრულდება.

თბილისის შემდეგ, მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალს, თელავში, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა. „სამეცნიერო პიკნიკი“, თესაუს გარდა, მონაწილეობდნენ: საქართველოს სამეცნიერო უნივერსიტეტები, შსს-ს პოლიციის აკადემია, „ქიმიკოსთა ასოციაცია“, ხელნაწერთა ინსტიტუტი, „ათასწლეულის ფონდი“ და სხვა ორგანიზაციები. ღონისძიების ფარგლებში „ნადიკვის“ პარკის სცენაზე გაიმართა „ევროპული შოუ“.



ირმა შიოშვილი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი: „მნიშვნელოვანია, რომ ასეთ ღონისძიებას მასპინძლობს ჩვენი უნივერსიტეტი. ამ ღონისძიების მეშვეობით ქართველ და უცხოელ მეცნიერებს შესაძლებლობა ექნებათ საზოგადოებას გააცნონ თავიანთი ნამუშევრები, კვლევები და ამავდროს ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარონ.“

ფესტივალის ფარგლებში, ყველაზე უჩვეულო სამეცნიერო პიკნიკი, თბილისისა და თელავის შემდეგ, ქუთაისის ცენტრალურ პარკში გაიმართა, სადაც „საბავშვო მეცნიერებისა“ და „ინოვაციური პროექტების“ გამოფენები ყველა ასაკის ბავშვის ინტერესებზე იყო მოწყობილი.



სამეცნიერო ექსპერიმენტი და გამოგონება, გამოფენები, პრეზენტაციები, პერფორმანსები, სახალისო ცდები ქიმიდან, ფიზიკიდან, ბიოლოგიიდან, მოზარდებს შესაძლებლობა ჰქონდათ, თავად ჩატარებინათ ექსპერიმენტები და მათთვისაც თვალსაჩინო გამხდარიყო ბევრი მანამდე ამოუხსნელი მოვლენა. პიკნიკის ერთ-ერთი გამორჩეული მონაწილე ბრიტანული სამეცნიერო შოუ იყო.

პიკნიკზე წარმოდგენილი „საბავშვო მეცნიერებისა“ და „ინოვაციური პროექტების“ გამოფენები ყველა ასაკის ბავშვის ინტერესებზე იყო მოწყობილი. დამთვალიერებლებმა უამრავი საინტერესო სამეცნიერო ექსპერიმენტი და გამოგონება იხილეს, იყო გამოფენები, პრეზენტაციები, პერფორმანსები, სახალისო ცდები ქიმიდან, ფიზიკიდან, ბიოლოგიიდან და ა.შ. მოზარდებს შესაძლებლობა ჰქონდათ, თავად ჩატარებინათ ექს-

პერიმენტები და მათთვისაც თვალსაჩინო გამხდარიყო ბევრი მანამდე ამოუხსნელი მოვლენა. პიკნიკში მონაწილეობდა ერთ-ერთი გამორჩეული მონაწილე – ბრიტანული სამეცნიერო შოუ.



ასევე მრავალფეროვანი და ნებისმიერი სფეროთი დაინტერესებული ადამიანისთვის იყო საინტერესო სამეცნიერო პიკნიკი ბათუმში. იქ წარმოდგენილია სანახაობამ ბევრი დამთვალიერებელი მიიზიდა, მათ შორის მოზარდები, რომელთა დაინტერესება მეცნიერებით პიკნიკის და ზოგადად მეცნიერების ფესტივალის მთავარი მიზანია.

29 სექტემბერს ბათუმში გამართული პიკნიკის ორგანიზებაში აქტიურად იყო ჩართული ბათუმის უნივერსიტეტი, როგორც სტუდენტები, ასევე პროფესორ-მასწავლებლები. ისინი ხვდებოდნენ დამთვალიერებლებს და წარმოდგენილი ინოვაციებს აცნობდნენ. სახალისო მეცნიერება და სამეცნიერო პიკნიკი ფესტივალის ახალგაზრდული მიმართულებაა და მის მუშაობაში სწორედ სკოლის მოსწავლეებისა და იმ პატარების ჩართვა ისახავს მიზნად, ვისაც მშობლები მოიყვანენ პიკნიკზე.

1 ოქტომბერს სამეცნიერო პიკნიკი ისევ თბილისში დაბრუნდა, ამჯერად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამართა ვაკის პარკში. პიკნიკის ორგანიზატორებმა სტუმრებს სხვადასხვა თემატიკის შემეცნებითი და გასართობი პროგრამა შესთავაზეს. უნდა აღინიშნოს, რომ ილიაუნის სამეცნიერო პიკნიკი საქართველოში ერთ-ერთი პირველი ღონისძიებაა, რომელიც ღია ცის ქვეშ, მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით, ყოველწლიურად, იმართება.

ილიაუნის სამეცნიერო პიკნიკზე 36 კარავი დაეთმო უნივერსიტეტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, კერძო სასწავლო დაწესებულებებს, სკოლებს, მათ შორის, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. წარმოდგენილია ორგანიზაციებმა საინტერესო ექსპერიმენტები ჩაატარეს და ინტერაქციული გამოფენები წარმოადგინეს.



გაიმართა სამეცნიერო პიკნიკისთვის სპეციალურად დადგენილი სპექტაკლი „ყვავილების ალქიმია“. კარავებში სტუმრებს სხვადასხვა თემატიკის შემეცნებითი და გასართობი პროგრამებს სთავაზობდნენ; სცენა დაეთმო „ექსპერიმენტორიუმს“, რომელმაც სახალისო და სანახაობრივი შოუ-პროგრამა წარმოადგინა.

თბილისის ზოოპარკმა კვლავ უმასპინძლა ღონისძიების მონაწილეებს. მოწყო სამეცნიერო კაფე, სადაც ილიაუნის მეცნიერებმა ნაიკითხეს ლექციები საინტერესო თემებზე. გაიმართა ასევე პირველკურსელების მიღების ცერემონია – Welcome Party 2017, რომელიც სტუდენტების დაჯილდოებით გაგრძელდა. პიკნიკი დასრულდა კონცერტით.

ილიაუნის სამეცნიერო პიკნიკი საქართველოში ერთ-ერთი პირველი ღონისძიებაა, რომელიც ღია ცის ქვეშ მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით ყოველწლიურად იმართება და, უპირველესად, განკუთვნილია სკოლის ასაკის მოზარდებისთვის, თუმცა, საინტერესოა ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვისაც. პიკნიკის მთავარი ამოცანაა, სახალისო ფორმით წარმოაჩინოს თანამედროვე მეცნიერების მიღწევები, განსაკუთრებით – საბუნებისმეტყველო დისციპლინებში. წელს ილიაუნის სამეცნიერო ფესტივალი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული მეცნიერებისა და ინოვაციების თბილისის ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა.

კრიმინალური და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპერტიზის სიმულაცია, არქეოლოგიური გათხრები და ცნობისმოყვარე დამთვალიერებელი, – ეს უკვე „ახალციხის ციხეზე“ გამართული „სამეცნიერო პიკნიკის“ პროგრამაა.

2 ოქტომბერს, ქვედა ციხეზე მდებარე ცხრა კარავში, სამცხე-ჯავახეთის და თელავის უნივერსიტეტების სტუდენტებმა, ასევე საქაბატენტის, ლეცენტრის და ხელნაწერთა ცენტრის წარმომადგენლებმა, დამთვალიერებელს საინტერესო

ექსპერიმენტები და ინტერაქციული გამოგონებები აჩვენეს. „ვატარებთ ფიზიკის და ქიმიის ცდებს. დამთვალიერებლებს ვაჩვენებთ „პოლიფულის სისხლს“, როგორ შეიძლება ხელოვნურად მივიღოთ სისხლი ისე, რომ ნაკარნი არ გვეკონდეს. ეს პროცესი განსაკუთრებით სკოლის მოსწავლეებს აინტერესებს,“ – ამბობს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი მაკა მოლაროშვილი.



სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ კარავში დამთვალიერებლებს შეეძლოთ კრიმინალური ექსპერტიზის ჩატარების პროცესი ენახათ. სიმულაციურად მოწყობილი იყო შემთხვევის ადგილი, პროფესორის ზედამხედველობით დამთვალიერებლებმა ნახეს, თუ როგორ მიმდინარეობს შემთხვევის ადგილის დამთვალიერება, სისხლის კვალის აღმოჩენა-დამუშავება, ანაბეჭდების ანალიზი, საბოლოოდ როგორ მუშავდება ეს ინფორმაცია კომპიუტერულად და როგორ გადაეცემა პოლიციისა და პროკურატურის საინფორმაციო ცენტრს.



რა თქმა უნდა, ფესტივალის შედეგებზე საუბარი მის დახურვამდე ნაადრევია, მაგრამ ერთი რამ ახლავს შეიძლება ითქვას, წარმოდგენილად დიდი იყო ინტერესი სკოლის მოსწავლეების, რომლებიც ხალისით ერთვებოდნენ ცდებისა და ექსპერიმენტების ჩატარებაში და თავად იყვნენ „მეცნიერები“ იმ რამდენიმე წუთის თუ საათის განმავლობაში. ნებისმიერი საგანმანათლებლო ფესტივალის, გამოფენის თუ ბაზრობის მთავარი დანიშნულებაა ეს არის – ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება და ფუნდამენტური მეცნიერებებით მათი დაინტერესება. მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი ამ მიზანს ძალიან კარგად ემსახურება.

ნატა ასათიანი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი: „მესამე წელია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ატარებს მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალს. 2015 წელს, სამეცნიერო კვირეულით დაიწყო, რადგან არ ვიცოდნოთ რა რეზონანსი მოჰყვებოდა ამას საზოგადოებაში, რამდენად დაინტერესდებოდნენ ახალგაზრდები და იქნებოდნენ თუ არა მზად, რომ მეცნიერებისა და ინოვაციების მიმართულებით ფესტივალის მრავალფეროვანი პროგრამა აეთვისებინათ. კვირეულმა გაამართლა და აქედან გამომდინარე, უკვე შემდგომ წელს, ფესტივალი გახდა. ამ ორწლიანი გამოცდილების შეჯერების შედეგად, წელს, მივიღეთ გადაწყვეტილება და ფესტივალი ორკვირიანი გავხადეთ, ნაცვლად ერთი კვირისა, ამასთანავე, გავფართოვდით და რეგიონებშიც გავვდიეთ. ეს გამოიწვია სწორედ იმ დაინტერესებამ, რაც წინა წლებში, ჩვენ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე ვნახეთ საზოგადოების მხრიდან.“

ძალიან ბევრი სიახლის და ინოვაციის უკან, რომელსაც ჩვენ, თუნდაც, ყოველდღიურ ცხოვრებაში ვეხებით და ვეცნობით, ბევრმა არ იცის, რომ ხშირ შემთხვევაში ქართველი მეცნიერები დგანან. სწორედ ამის პოპულარიზაციას უწყობს ხელს ჩვენი ფესტივალი.

ცხადია, არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ფესტივალი ეხება მხოლოდ ახალგაზრდების, მხოლოდ სკოლის მოსწავლეების დაინტერესებას და ჩართვას ამ პროცესში, დაგეგმილი გვაქვს სერიოზული სამეცნიერო კონფერენციები, სემინარები და ლექციები, რომლებსაც ჩვენი უნივერსიტეტები, პარტნიორ უცხოელ უნივერსიტეტებთან ერთად, ახორციელებენ და, ასევე, სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებები, რომელთა წილი, ცხადია, ამ ყველაფერში განუზომლად დიდია.“

სპორტი

კვირეული კობაროვლები „აურიუს“

ორშაბათს, 1 ოქტომბერს, თბილისში, დაიწყო სპორტული კვირეული პედაგოგთა შორის, თუმცა დასახელებამ შეცდომაში არ შეგვიყვანო და მხოლოდ სპორტის პედაგოგთათვის განკუთვნილი ღონისძიება არ გეგმონოთ. ცხადია, მონაწილეთა ლომის წილი მათზე მოდის, თუმცა სხვა საგნების მასწავლებლები და სკოლების ტექნიკური პერსონალიც მონაწილეობს.

კვირეულის ორგანიზატორია საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების კავშირი. ჯერ მხოლოდ თბილისის მასშტაბით ტარდება, თუმცა სამომავლოდ განზრახულია მთელ ქვეყანაში ჩატარება. ბუნებრივია, ამას გაცილებით სხვა დონის ორგანიზება და სხვაანაირი მომზადება სჭირდება.

შეჯიბრებები სპორტის შემდეგ სახეობებში ტარდება: მინი-ფეხბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და ნარდი. ამათგან ნარდსა და მაგიდის ჩოგბურთში ასპარეზობები ქალებსა და ვაჟებს შორის ცალ-ცალკე ტარდება, მინი-ფეხბურთი მხოლოდ ვაჟებისთვისაა განკუთვნილი, ფრენბურთსა და ხელბურთში კი შერეული გუნდებია, თუმცა ორგანიზატორებს გეგმები კომაროვის სკოლამ „აურიუს“, რომელმაც... მხოლოდ ქალთა გუნდები გამოიყვანა. მათ შორის – მინი-ფეხბურთშიც (აბა, ნარდი, მაგიდის ჩოგბურთი და ფრენბურთი რა გასაკვირია) და უნდა ითქვას, რომ ვაჟებს ტოლი არ დაუდეს. კომაროვის სკოლა სხვა მხრივაც აღმოჩნდა გამორჩეულ-კოლორიტული. საქმე ისაა, რომ კვირეული სარაიონო დაყოფის პრინციპით ტარდება, ანუ თბილისის ცალკეული რაიონების ნაკრებები ეჯიბრებიან ერთმანეთს, ეს სკოლა კი, დამოუკიდებლად მონაწილე ერთადერთი ინდივიდია, რომლის მონაწილეობასაც მასპინძლებმა უარი არ უთხრეს.

მასპინძლებს ორგანიზებაში ნარდისა და ხელბურთის ეროვნული ფედერაციებიც ესმარებიან, თუმცა, ფინალურ ეტაპზე, რომელიც 4 ოქტომბერს გაიმართება, სპორტის უნივერსიტეტიც დიდ როლს იკისრებს – დასკვნითი შეჯიბრებები მის ბაზებზე ჩატარდება.



გობონების საჭიდაო ზაფხული

ამ ზაფხულს საჭიდაო სახეობებში გვარიანად გვასახელებს ჩვენმა მოსწავლე სპორტსმენებმა, ანუ ჭაბუკებმა, მაგრამ რაც ყველაზე აღსანიშნავია, გობონებმაც დიდი წარმატებები მოიპოვეს: ძიუდოსტებმა წინა თაობის მონაგარი ახალ სიმალღებზე აიყვანეს, თავისუფალ ჭიდაობაში კი ყამირი გატყდა და პირველხარისხოვან შეჯიბრებებზე ქალებში რაგინდარა ასაკში პირველი მედალი მოვიპოვეთ.

დავინწყით ძიუდოთი, სადაც უფრო მასშტაბური შედეგებია. წლებადღეილი სეზონი ევროპული ჭაბუკებისთვის ძალიან დატვირთული იყო, რადგან ყოველი ორწლიანი ციკლის თავზე ევროპისა და მსოფლიოს ტრადიციულ პირველობებს ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი ემატება, რომელიც წლებულს მოუწია. თუმცა ყველაზე უფრო ცუდი ისაა, რომ სამივე ასეთი მნიშვნელოვანი და სერიოზული შეჯიბრება მეტად შემჭიდრობულ ვადებში ჩატარდა და ჩვენებმა თენახევაში სამ ასეთ სოლიდურ შეჯიბრებაში იასპარეზეს. თანაც, მათდა საკვალად, მსოფლიოს ჩემპიონატი მეტისმეტად შორს – ჩილეში ჩატარდა და დუბაის გავლით ნასულმა გუნდმა 40 საათზე მეტი, ლამის 2 დღე-ღამის სამყოფი დრო მოანდომა ადგილზე ჩასვლას. ამას იქაური განსხვავებული, მალაღმთიანეთის ჰავა და კლიმატური სარტყელი დაემატა – რაკი სამხრეთ ნახევარსფეროში ახლა ზამთარია, ჩილეშიც გვარიანად ციოდა, აგვისტოს ხვატიდან ნასული ჩვენები კი პირდაპირ ცივ სარტყელში და ახალი თოვლის საუფლოში მოხვდნენ.

მიუხედავად ამისა, ჩვენმა მოზარდებმა ყველა სიძნელეს სძლიეს და სამივე შეჯიბრებაში, ტრადიციულად, დიდი წარმატებით იჭიდვეს. თავდაპირველად ევროპის ჩემპიონატი გაიმართა, რომელსაც კაუნასმა უმასპინძლა. იქ პირად პირველობაში ბიჭებმა 4 მედალი მოიპოვეს – 2 ოქრო და თითო ვერცხლბრინჯაო, რასაც გობონებმა ერთი ოქრო დაუმატეს. თან, ბიჭებმა გაიმარჯვეს პირად პირველობაში. ჩემპიონატი მისილ ბახახაშვილი (66), ლაშა ბექაური (73) და სოფიო სომხიშვილი (+70) გახდნენ. ვერცხლი მისილ ბექაურმა (90) მოიპოვა, ბრინჯაო – ლევან ჭელიძემ (+90). ამასთან, კიდევ ორმა იჭიდავა ბრინჯაოსთვის, მაგრამ მეხუთეზე დარჩნენ: ბიჭებში – ილია სულამანიძე (81) და გობონებში – მარიამ ჭანტურია (63).

ორივე ნაკრები მშვენივრად გამოვიდა კაუნასში, განსაკუთრებული სიმპათიები კი ბახახაშვილმა და სომხიშვილმა დაიმსახურეს. ორივემ ყველა შეხვედრა იპონით მოიგო და თამამად შეიძლება ითქვას, რომ წინ ვერავინ დაუდგა. მეტოქეებს განსაკუთრებით იოლად სომხიშვილი ამარცხებდა, ის უკვე ჩამოყალიბდა ამ წონის ლიდერად მსოფლიოს მასშტაბით. ფაქტობრივად, ყველა შეხვედრა ცალი ხელით მოიგო, ფინალის ჩათვლით, სადაც რუსმა დარია ვლადიმეროვამ ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ლაშა ბექაურს ყველა იპონით არ მოუგია, მაგრამ უფრო აკადემიური საჭიდაო სტილი აჩვენა და თავისი ტალანტი სრულად გამოამჟღავნა. სამაგიეროდ, ჩვენთვის მთავარი სენსაცია იყო მისი მოგვარის – მისილ ბექაურის მარცხი ფინალში იტალიელ ენრიკო ბერგამელისთან – ჩვენებურმა იმდენად ძლიერად ჩაატარა წინა შეხვედრები, მის ნაგებას ძნელად წარმოვიდგენდით, მაგრამ იტალიელმა მისი შეცდომით კარგად ისარგებლა. ასევე დასანანი იყო მარიამ ჭანტურიას ნაგებაც ბრინჯაოსთვის შეხვედრაში.

რაკი ჭაბუკებს ასე ფორსირებულ რეჟიმში უწევდათ ჭიდაობა, ხოლო ჩვენ რამდენიმე შემადგენლობის ყოლის ფუფუნება არ გვაქვს, კონტინგენტის სიმწირიდან გამომდინარე, მწვრთნელებმა როტაციის მეთოდს მიმართეს: აქცენტი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე აიღეს, უნგრულ დიორში გამართულ ფესტივალზე კი მეორე ნომრები აჭიდავეს. თუმცა, 90-სა და მძიმეში გამონაკლისი დაუშვეს და კვლავ მისილ ბექაური და ჭელიძე დააყენეს. ორივემ გაუმართლათ იმედები. დიორში ჩვენებურთა მონაგარი კიდევ უფრო უკეთეს იყო: ბიჭებში – 5 მედალი და თან ისევ 2 ოქროსა და 1 ვერცხლის წილ 2 ბრინჯაო, რასაც გუნდურში მოპოვებული ბრინჯაოც დაემატა, ხოლო გობონებმა, ამჯერად, 2 ოქრო ირგუნეს. ცხადია, ერთი მათგანის ავტორი ისევ დაუმატებელი

ბელი სომხიშვილი გახდა, ვინც ამჯერადაც მთელი თავით მალა იდგა მეტოქეებზე. მას კარგად აუბა მხარი ჭანტურია, გაითვალისწინა ევროპირველობაზე დაშვებული შეცდომები და ფინალში ტურნირის მთავარი სენსაციაც შემოგვთავაზა – ევროპის მოქმედი ტრიუმფატორი და ბოლო ორ სეზონში დაუმარცხებელი სერბი ანია ობრადოვიჩი დაამარცხა. თან, მსაჯებმა ცოტა გააბრაზეს კიდევ, როცა სერბისადმი სიმპათია გამოავლინეს და ერთი გდება არ ჩაუთვალეს, მაგრამ ჭანტურიამ გაგულსება მალევე დაიცხრო, მსაჯთან კამათს და ხელების შლას მყისვე ანება თავი, სერბს ეტაკა და მომგებიან ილეთზე გადააგდო.

ბიჭებში ტალანტი ამჯერად სრულად გამოავლინა ბექაური და ოქროთი დაბრუნდა სამშობლოში. 66 კილოგრამი კატეგორია ჩვენთვის კვლავაც ოქროსი გამოდგა: ბახახაშვილისგან ესტაფეტა ღირსეულად გადაიბარა გიორგი ჩიხელიძემ, ვერცხლი ბექა ნიფიანმა (55) მოიპოვა, ჭელიძე კი ისევ მესამეზე გავიდა, როგორც – ვლადიმერ ახალაძე (81).

ამას მსოფლიო ჩემპიონატი მოჰყვა ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში, რომელიც გამორჩეული იმით გახდა, რომ გუნდური შეჯიბრება პირველად გაიმართა ახალი ფორმატით – შერეული გუნდით, სადაც გობონები და ბიჭები უკვე ერთად გამოდიოდნენ და არა ადრინდელივით ცალ-ცალკე. აქვე გეტყვით, რომ ამიერიდან ყველა ტურნირზე გუნდური შეჯიბრება ასეთი ფორმატით გაიმართება, რადგან ოლიმპიადის პროგრამაში შეიტანეს. სხვა საკითხია, რომ ეს ჩვენ არ გვანყობს, რადგან, ჯერჯერობით, გობონებში გვიჭირს – არ გვყავს მალაღმთის ძიუდოსტები, თუმცა, ესეც დროის საკითხია: დღევანდელი ჭაბუკთა ნაკრების რამდენიმე წევრი – ჭანტურია, სომხიშვილი, ცოტა უფროსებიდან – ეთერ ლიპარტელიანი, მზია ბებოშვილი (ორივე – 52), მარიამ ჯანაშვილი (57), 2-3 წელიწადში, მსოფლიოს მასშტაბით, შექმნიან დიდ კონკურენციას. ისინი ჯერ პატარები არიან და უახლოეს წლებში ამიტომ გავიჭირდება, თუმცა მომავალი საკმაოდ კარგი გვესახება, ოღონდ ფაქტია: ამჯერად, ჩილეში გობონების ოთხი წონიდან ერთში მონაწილე საერთოდ არ გვყავდა და ყველა შეხვედრას ერთქულიანი ჩამორჩენით ვინწყებდით.

სამწუხაროდ, ჩილეში გამგზავრებამდე ეს არ ყოფილა ჩვენი ერთადერთი პრობლემა: სომხიშვილს უკვე დიორში გაუახლდა მხრების ძველი ტკივილები, რასაც მერე წელის პრობლემაც დაერთო. ფესტივალის შემდეგ ჯერ ხომ ისედაც ერთი კვირა უწევდათ თბილისში გაჩერება და ეს მცირე დროც, ვარჯიშზე მეტად, მკურნალობას მოანდომა, სრულად ვერც იტვირთვოდა; ჯანმრთელობის მხრივ ბიჭებშიც იყო გარკვეული პრობლემები... ამ ყველაფერს ისიც ემატებოდა, რომ სომხიშვილი და ჭანტურია ზედიზედ მესამე ტურნირს ჭიდაობდნენ, რასაც ჭანტურიამ უფრო გაუძლო, სომხიშვილს კი ჯანმრთელობის პრობლემები მძიმე ტვირთად დაანავა. ანალოგიური დილეგის წინაშე დადგნენ ბიჭებში მისხედი ბექაური და ჭელიძეც, რომლებიც თენახევაში ასევე მესამე ტურნირზე წავიდნენ და ვერც მათ გაუძლეს ამ დაძაბულობას...

მსოფლიო ჩემპიონატი ევროპისაზე ბევრად ძლიერი შეჯიბრებაა და ჩვენებსაც უფრო გაუჭირდათ, მაგრამ მაინც კარგად გამოვიდნენ: ბიჭებმა თითო ოქრო-ვერცხლი მოიპოვეს, გობონებმა ვერცხლ-ბრინჯაო. ბიჭებში ლაშა ბექაურმა (73) დუბლი შეასრულა და მეორედ გახდა ჩემპიონი. ამ გამარჯვებას ფასი იმანაც აუმაღლა, რომ ფინალში იაპონელი დიოკი ნაკაჰაში დაამარცხა. ლუკა კაპანაძემ (55) კი ევროპაზე დასაკლისი აქ შეივსო და ვერცხლი მოიპოვა. ამკარაა – ევროპაზე მისი ნაგება შემთხვევითობა იყო, თორემ გაცილებით ძლიერ შეჯიბრებაზე მოიპოვა მედალი. გობონებში ჭანტურია, ამჯერად, მესამეზე გავიდა, სომხიშვილს მშვენიერი შანსი ჰქონდა, სეზონი ტრიუმფით დაესრულებინა, მაგრამ ფინალში დამარცხდა. სამწუხაროდ, მას ამკარად დაეტყო გადაღლა, ტრავმებიც და უკვე ისე იყო, ხელეებს ვერ იმორჩილებდა და თითებს სათანადოდ ვერ იყენებდა. სანყენია, რომ ფინალში ხორვატ ჰელენა ვუკოვიჩთან დამარცხდა, რომელსაც ევროპაზე იოლად აჯობა. ძალიან დასანანი იყო ბახახაშ-



ვილის ნაგებაც იაპონელთა მომავალ ჩემპიონ რენტო კაცურასთან, რომელსაც, მანამდე, საერთაშორისო ტურნირზე, მართლაც კაცურად მოუგო და იოტისოდენა შანსიც არ მისცა. ნაგებს მისილ ბექაურმა და ჭელიძემაც, თუმცა ისინი ჩვენს ნაკრებში მაინც რჩებიან თავიანთი წონების აშკარა ლიდერებად. ამ სეზონიდან ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ბიჭებში, 55 კილოგრამში, ვერაფერი მოეუხერხებოდა თურქ მიჰრავაკუსს, მან სამივე ტურნირზე დაგვიმარცხა ფალანგები, თვითონ კი სამივეგან ჩემპიონი გახდა. კარგი მომენტი იყო გუნდურში გამოსვლა, კაცნაკულულობის მიუხედავად, ჩვენებმა თვით იაპონისის დამარცხება შეძლეს და საბოლოოდ მესამეზე გავიდნენ.

მიმდინარე სეზონი რომ შევაჯამოთ, გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, სურათი მაინც დამაიმედებელია. ბიჭებში რომ კარგი თაობა მოდის, ეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა, მაგრამ ამაში გასაკვირი არაფერია. სამაგიეროდ, კიდევ ერთხელ დავინახეთ გობონების თვალსაჩინო პერსპექტივა.

